41 ქართული ოცნება

განვითარება ყველა რეგიონს

ძვირფასო თიანელებო!

მოგმართავთ იმ პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, რომელიც აღებული გვაქვს თითოეული თქვენგანის, ჩვენი ქვეყნის თითოეული მოქალაქის წინაშე!

თქვენ კარგად იცით სამშობლოს სიყვარულის, მშვიდობისა და თავისუფლების ფასი. ეს არის ის ღირებულებები, რომელთა ერთგულება თითოეული ჩვენგანის ვალია და რომლებმაც უნდა გაგვაერთიანოს ჩვენი ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ. „ქართული ოცნების“ პოლიტიკური საბჭო, ჩვენი მრავალათასიანი გუნდის სახელით აცხადებს, რომ მყარად დაიცავს ჩვენს ეროვნულ ინტერესებს და არავის მისცემს მძიმე წარსულში დაბრუნების შესაძლებლობას. „განვითარება ყველა რეგიონს“ – ეს არის ჩვენი მიზანი, რომელიც თქვენი მხარდაჭერით და თქვენთან ერთად, აუცილებლად შესრულდება.

ჩვენ მიერ წარდგენილი თიანეთის მერობის კანდიდატისა და თიანეთის საკრებულოს წევრობის კანდიდატების მხარდაჭერა უმნიშვნელოვანესია იმისათვის, რომ წარმატებით გაგრძელდეს მუნიციპალიტეტში დაწყებული პროექტები, გაგრძელდეს თიანეთის განვითარება და გაუმჯობესდეს მოსახლეობის ცხოვრების პირობები.

ჩვენ გვაქვს კონკრეტული ხედვა და გეგმები, თუ როგორ უნდა განვითარდეს თიანეთი და გვჯერა, რომ ჩვენი გუნდი თქვენგან კვლავაც მყარ მხარდაჭერას მიიღებს.

სამართლიან და თავისუფალ არჩევნებში ერთად უნდა ვიზეიმოთ ჩვენი საერთო გამარჯვება!

„ქართული ოცნების“ პოლიტიკური საბჭო

ᲗᲘᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘ�პᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘ

ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲐ

„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, ეკონომიკის სისტემური რეფორმირება დაიწყო. ჩვენი გუნდის მმართველობის პირობებში, ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი, 2012 წელს არსებული 27,2 მილიარდიდან, 2020 წელს, პანდემიის ფონზე, 49,4 მილიარდ ლარს გაუთანაბრდა. ხელისუფლების გრძელვადიანი გეგმის მიხედვით, საშუალოვადიან პერიოდში, ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ტემპი საშუალოდ 5%-ის ფარგლებში იქნება. ამ ფონზე, აბსოლუტური სიღარიბის მაჩვენებლის განახევრება იგეგმება, რაც 2030 წლისთვის 10.7%-მდე შემცირებას გულისხმობს.

„ქართული ოცნების“ ხელისუფლების პირობებში, ბიზნესი გათავისუფლდა პოლიტიკური წნეხისგან, შესაბამისად ბიზნესსექტორის ბრუნვის მოცულობა, 2012 წელს არსებული 42 მილიარდიდან 2020 წელს, გლობალური პანდემიის მიუხედავად, 109,5 მილიარდ ლარს გაუტოლდა. ჩვენი გუნდის ეკონომიკური პოლიტიკა მიზნად ისახავს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და შემდგომი ოთხი წლის განმავლობაში უმუშევრობის დონე შემცირდება ერთნიშნა მაჩვენებლამდე.

ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲑᲘᲣᲯᲔᲢᲘ

გასული წლების განმავლობაში, მნიშვნელოვნად გაიზარდა ხელისუფლების მიერ თიანეთის მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამებისა და პროექტების მოცულობა. იზრდება ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი – თუ 2013 წელს თიანეთის ბიუჯეტის ხარჯების ნაწილი 4,1 მლნ ლარი იყო, 2021 წლის გეგმით 10,7 მლნ ლარს შეადგენს. იზრდება ადგილობრივი ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლების ნაწილი – 2013 წელს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტმა, გადასახადების ნაწილში, შემოსავლების სახით, 2,5 მლნ ლარი მიიღო, 2021 წლის გეგმით, საპროგნოზო მაჩვენებელი უკვე 6,1 მლნ ლარია.

ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐ

სოფლის მეურნეობის განვითარება, სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გაზრდა და სოფლად ადამიანების დასაქმება სახელმწიფოს ერთ-ერთი პრიორიტეტია. „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, სოფლის მეურნეობის დაფინანსება, 2012 წელს არსებული 228 მილიონიდან, 2020 წლისთვის 434 მლნ ლარამდე გაიზარდა, ხოლო სურსათის ექსპორტი – 511 მლნ დოლარიდან 942 მლნ დოლარამდე.

თიანეთის მუნიციპალიტეტში, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროგრამით **„დანერგე მომავალი“,** 2015-2021 წლებში, 11 ჰექტარზე განხორციელდა 15 პროექტი (ჯამურად 155 848 ლარი). **აგროდაზღვევის პროგრამით**, 2014-2021 წლებში, ჯამურად, დაზღვეულია 110 ჰექტარი (მოსავლის ღირებულება 508 693 ლარი), რითაც 72 ბენეფიციარმა ისარგებლა. ფერმერებს სტიქიით მიყენებული ზარალი 12 923 ლარით აუნაზღაურდათ. **სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის** პროგრამით, დღეისთვის, მოქმედებს 10 კოოპერატივი (92 მეპაიე, მობილიზებული კაპიტალი 314 620 ლარი). **შეღავათიანი აგროკრედიტით**, 2013-2021 წლებში, ისარგებლა 41-მა უნიკალურმა ბენეფიციარმა. ჯამურად 2 574 473 ლარის პროექტები განხორციელდა (თანამონაწილეობა კი 318 288 ლარი). **სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომისა და მოქნილობის თანადაფინანსების პროგრამით** განხორციელდა 2 პროექტი (ჯამურად 3 340 ლარი, თანადაფინანსება 1 336 ლარი). **სამელიორაციო სამუშაოებზე**, 2013-2020 წლებში, დაიხარჯა 1 049 859 ლარი, შედეგად წყალუზრუნველყოფილი მიწის ფართობი, ბოლო წლებში, 0-დან (2013 წელს) 300 ჰექტრამდე (2020 წელს) გაიზარდა.

2013 წლიდან დღემდე, ქვეყნის მასშტაბით, სახელმწიფოს მხარდაჭერით, უსასყიდლოდ ხორციელდება სხვადასხვა **ვეტერინარული ღონისძიება**: ვაქცინაცია, ცხოველთა დაავადებებზე ლაბორატორიული გამოკვლევები, ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია და სხვა, რაც განაპირობებს მეცხოველეობის განვითარებასა და საექსპორტო პოტენციალის გაზრდას.

- **მომდევნო წლებში გაგრძელდება სოფლის მეურნეობის ხელშემწყობი პროგრამები, რაც რამდენიმე ასეული ახალი სამუშაო ადგილის შექმნასა და სოფლად დასაქმებული ადამიანების შემოსავლების ზრდას უზრუნველყოფს;**
- **ქვეყნის მასშტაბით 2024 წლამდე განხორციელდება 1.2 მილიონი ჰექტარი მიწის სისტემური რეგისტრაცია, რითაც პრაქტიკულად მიწის რეგისტრაციის პრობლემა სრულად აღმოიფხვრება.**

ᲛᲔᲬᲐᲠᲛᲔᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ

მეწარმეობის განვითარება და, ზოგადად, სამეწარმეო სულისკვეთების გაძლიერება ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა. ამ თვალსაზრისით, მოქმედებს და მომავალშიც გაგრძელდება რამდენიმე სახელმწიფო პროგრამა, რომელიც ორიენტირებულია მეწარმეობის ხელშეწყობაზე.

მიკრო და მცირე მეწარმეობის მხარდამჭერი პროგრამით, „აწარმოე საქართველოში“ მხარდაჭერით, 808 036 ლარის გრანტი გაიცა. განხორციელდა 1 030 653 ლარის ინვესტიცია. ჯამურად დაფინანსდა 103 პროექტი (არსებული ბიზნესის გაფართოების მიზნით – 60, ახალი „სტარტაპის“ მხარდასაჭერად 63 პროექტი).

ᲔᲜᲔᲠᲒᲔᲢᲘᲙᲐ

საქართველოს ენერგეტიკული პოლიტიკის უმთავრესი მიზანია ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოების გაძლიერება და ენერგოდამოუკიდებლობის ხარისხის ამაღლება. ჩვენი გუნდის ენერგეტიკული პოლიტიკის ძირითადი ამოცანა იმპორტირებულ ენერგორესურსებზე დამოკიდებულების ეტაპობრივ შემცირებას და ადგილობრივი რესურსების ეფექტურ ათვისებას უკავშირდება.

2013-2021 წლებში, **მცხეთა-მთიანეთის რეგიონში, აშენდა 7 ჰიდროელექტროსადგური** (არაგვიჰესი, ლარსიჰესი, ყაზბეგიჰესი, დარიალჰესი, საგურამოჰესი, ბოდორნაჰესი, არაგვიჰესი 2), რომელთა დადგმული სიმძლავრე ჯამურად 152 მგვტ-ია, ჯამური საინვესტიციო მოცულობა 172 მილიონი აშშ დოლარი. **მშენებლობა-ლიცენზირების ეტაპზეა 6 ჰესი:** ნაროვანჰესი – დადგმ. სიმძლავრე 0.6 მგვტ, 1,127 მლნ აშშ დოლარი; უძილაურთა ჰესი – დადგმ. სიმძლავრე 8,48 მგვტ, 11,330 მლნ აშშ დოლარი; როშკაჰესი – დადგმ. სიმძლავრე 1.9 მგვტ, 3,13 მლნ. აშშ დოლარი. როშკა 1 – დადგმ. სიმძლავრე 1.03 მგვტ, 1 მლნ აშშ დოლარი; როშკა 2 – დადგმ. სიმძლავრე 1.99 მგვტ, 1.5 მლნ აშშ დოლარი; როშკა 3 – დადგმ. სიმძლავრე 1 მგვტ, 0,9 მლნ აშშ დოლარი; **ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის ეტაპზეა:** ძეგვიჰესი – დადგმ. სიმძლავრე 15,7 მგვტ, 26,7 მლნ აშშ დოლარი; კამარაჰესი – დადგმ. სიმძლავრე 13,2 მგვტ, 37,8 მლნ აშშ დოლარი; მლეთაჰესი – დადგმ. სიმძლავრე 4,88 მგვტ, 4 მლნ აშშ დოლარი; ქვეშეთიჰესი– დადგმ. სიმძლავრე 10,3 მგვტ, 11 მლნ აშშ დოლარი; ბარისახოჰესი – დადგმ. სიმძლავრე 13,5 მგვტ, 12,1 მლნ აშშ დოლარი; მენესოჰესი – დადგმ. სიმძლავრე 8,2 მგვტ, 15,49 მლნ აშშ დოლარი; ხადა1 ჰესი – დადგმ. სიმძლავრე 2.6 მგვტ, 5,36 მლნ აშშ დოლარი; ხადა 2 ჰესი – დადგმ. სიმძლავრე 1.1 მგვტ, 2.84 მლნ აშშ დოლარი; შავი არაგვიჰესი – დადგმ. სიმძლავრე 5,3 მგვტ, 7,968 მლნ აშშ დოლარი; შავი არაგვი 1 ჰესი – დადგმ. სიმძლავრე 3 მგვტ, 5,2 მლნ აშშ დოლარი.

2013-2017 წლებში, **თიანეთში, მუნიციპალიტეტის** 2 სოფლის (გრძელველი და ჭიაურა) 54 აბონენტი ჩაერთო **ელექტროენერგიის ქსელში,** სულ 2 067 აბონენტს დაუმონტაჟდა **ინდივიდუალური მრიცხველი**, რითაც მოსახლეობის ელექტროენერგიით უზრუნველყოფის საკითხი სრულად მოწესრიგდა. 2013-2021 წლებში **გაზიფიცირებულია** ჯამურად 3 770 აბონენტი. 2021 წელს დაგეგმილია კიდევ 11 სოფლის (ალოტი, ველები, ჩეკურაანთგორი, მელიასხევი, თოლენჯი, სიმონიანთხევი, ცალუღელაანთკარი, გორანა, ხევსურთსოფელი, დევენაანთხევი, საყდრიონი) გაზიფიცირება (1088 აბონენტი). 2022-2024 წ.წ. კიდევ 12 სოფელშია გათვალისწინებული საპროექტო-სამშენებლო სამუშაოები (ვეძათხევი, ზურაბები, დორეულები, ქვემო ნაქალაქარი, ზემო ნაქალაქარი, მაგრანეთი, ღულელები, კვირიასხევი, კვერნაული, ბალებისხევი, სიონთგორი, ნადოკრა – დამატებით სულ 878 აბონენტი).

ᲢᲣᲠᲘᲖᲛᲘ

„ქართული ოცნების“ გონივრული პოლიტიკის შედეგად, ტურიზმის სფეროს განვითარების თვალსაზრისით, შთამბეჭდავი შედეგები იქნა მიღწეული. 2012 წლის შემდეგ, გაორმაგდა საერთაშორისო ვიზიტორთა და მოგზაურთა რაოდენობა და 4,7 მილიონიდან, 2019 წელს (პანდემიამდე), 9,4 მილიონს გაუთანაბრდა.

ტურიზმის განვითარების მიზნით, თიანეთში განხორციელდა: მხარეთმცოდნეობის მუზეუმის რეაბილიტაცია; თიანეთის შემოსასვლელებში განთავსდა ორენოვანი საინფორმაციო დაფა, დაბების თიანეთისა და სიონის ცენტრალურ ადგილას INFO BOX-ები; დაგეგმილია 3 ისტორიული ძეგლის (ბოჭორმის ციხის, ძველი ჟალეთის წმ. გიორგის სახელობისა და არხალის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიები) რეაბილიტაცია, გზის მოასფალტება და ინფრასტრუქტურის მოწყობა; დაბა სიონის წყალსაცავთან და დაბა თიანეთში, მდ. ივრის მიმდებარედ, ორი კემპინგის მოწყობა (500 ათასი ლარი); კერძო ინვესტორის მიერ, მდინარე ივრის ხეობაში **არამატერიალური კულტურული ძეგლის – დამბალხაჭოს** წარმოების პროცესის პოპულარიზაციისა და ახალი ტურისტული ცენტრის განვითარების მიზნით, **ყველის ტურისტული თემატური სახლის** გახსნა.

- **„ქართული ოცნების“ გუნდის გეგმის თანახმად, საშუალოვადიან პერიოდში, 2025 წლისთვის ქვეყანას 10 მლნ მოგზაური ეწვევა, ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი კი 4.2 მილიარდ დოლარს გაუთანაბრდება;**
- **2030 წლისთვის საქართველო 13 მლნ მოგზაურს უმასპინძლებს, შემოსავლები კი 6,5 მილიარდ დოლარს მიაღწევს.**

ტუშურებსა და მამადაანებში ჭაბურღილების მოწყობის სამუშაოები

გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობა

„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, გარემოსდაცვითი ღონისძიებების თვალსაზრისით, არაერთი რეფორმა გატარდა. ქვეყნის მასშტაბით, თუ 2012 წელს დაცული ტერიტორიები 519 ათასი ჰექტარი იყო, დღეისთვის, 798 ათასი ჰექტარია. 2012-2020 წლებში, შეიქმნა 26 ახალი და გაფართოვდა 3 დაცული ტერიტორია.

2013-2020 წლებში, ინდივიდუალური საყოფაცხოვრებო სარგებლობის მიზნით, მოსახლეობაზე გაცემულია 78 ათასი კუბური მეტრი **მერქნული რესურსი.** 2019-2021 წლებში, მერქნულ რესურსზე ხელმისაწვდომობის გამარტივების მიზნით, მოეწყო 2 **საქმიანი ეზო.** 2014-2021 წლებში, ხე-ტყის ორგანიზებულად დამზადების ფარგლებში, დამზადდა 12 498 კუბური მეტრი ხე-ტყე.

„კლიმატის მწვანე ფონდის“ მიერ, 2020 წლის აგვისტოში, დამტკიცდა 32,7 მლნ ევროს გრანტი. პროექტის მთავარი მიზანია საქართველოში სატყეო სექტორის განვითარებაში წვლილის შეტანა, კლიმატის ცვლილების შერბილებასა და მიმდინარე სატყეო რეფორმის განხორციელების მხარდაჭერა. პროექტი დაეხმარება საქართველოს, გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო-კონვენციისადმი ეროვნულ დონეზე განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებასა და ახალი ტყის კოდექსის აღსრულებაში. პროექტის მოიცავს სამ რეგიონის – გურია, მცხეთა-მთიანეთი და კახეთის 8 მუნიციპალიტეტი (2021-2027 წლები).

გარემოს ეროვნული სააგენტოს გეოლოგიის დეპარტამენტის მიერ ყოველწლიურად ხორციელდება სტიქიური გეოლოგიური პროცესების მონიტორინგი და მუშავდება რეკომენდაციების პრევენციული ღონისძიებების გატარების მიზნით; მიმდინარეობს მიწისქვეშა **მტკნარი სასმელი წყლების მონიტორინგი** 4 წყალპუნქტზე; **სამომავლოდ** გაფართოვდება ატმოსფერული ჰაერის, ნიადაგისა და წყლის ხარისხის მონიტორინგისა და შეფასების სისტემები; გაგრძელდება სტიქიური გეოლოგიური პროცესების ყოველწლიური მონიტორინგი, შეფასდება გეოლოგიური საფრთხის ქვეშ არსებული დასახლებები და გაიცემა რეკომენდაციები გასატარებელი დამცავი ღონისძიებების შესახებ; გარემოსდაცვითი სტანდარტები თვისებრივად დაუახლოვდება ევროპულ მოთხოვნებს; ხელისუფლების გეგმის თანახმად, 2030 წლისთვის დაცული ტერიტორიების ფართობი 1 მილიონ ჰექტარს გაუთანაბრდება.

ინფრასტრუქტურა და საზოგადოებრივი მომსახურება

2022-2023 წლებში, თიანეთის მუნიციპალიტეტში, ინფრასტრუქტურისა და საზოგადოებრივი მომსახურების გაუმჯობესება-განვითარებაზე განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება.

2013-2020 წლებში, თიანეთში, **ადგილობრივი მნიშვნელობის გზების** რეაბილიტაცია-მშენებლობაზე, ადგილობრივი და ცენტრალური ბიუჯეტიდან ჯამურად, 8 მლნ ლარზე მეტი დაიხარჯა, აშენდა 5 და რეაბილიტაცია ჩაუტარდა 3 ხიდს. **სტიქიით** დაზიანებული ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციოდ სახელმწიფომ 2,938 მლნ ლარის კომპენსაცია გამოყო.

ხელისუფლების გეგმის თანახმად, მომდევნო (2021-2025) წლებში თიანეთის მუნიციპალიტეტის **ინტერნეტით უზრუნველყოფის** მიზნით, იგეგმება მაღალსიჩქარიანი ფართოზოლოვანი ქსელის მშენებლობა. შედეგად, მუნიციპალიტეტის 10 დასახლებულ პუნქტში მცხოვრებ 1 090 ოჯახს მაღალსიჩქარიან ინტერნეტზე წვდომა ექნება.

2014-2020 წლებში, თიანეთის **წყალმომარაგებისა და საკანალიზაციო ქსელის** განვითარებაზე, მუნიციპალური და ცენტრალური ბიუჯეტიდან, ჯამურად 2,5 მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯა. ხელისუფლების გეგმით, 2021-2023 წლებში, დამატებით 2 მლნ ლარზე მეტი დაიხარჯება. **უკვე მიმდინარეობს ან იგეგმება წყალმომარაგების შემდეგი პროექტები:** ტუშურებში, მამადაანებში და ლელოვანში არტეზიული ჭის ცენტრალური მაგისტრალისა და ქსელის მოწყობა (359 998 ლ); სიმონიანთხევის ჭაბურღილისა და რეზერვუარის მოწყობა (329 995 ლ); თოლენჯის ჭაბურღილისა და რეზერვუარის მოწყობა (327 000 ლ); თრანის ჭაბურღილისა და ქსელის მოწყობა (189 232 ლ); ალოტის წყალსადენის სათავე-ნაგებობისა და ქსელის მოწყობა (150 177 ლ); დაბა სიონის წყალმომარაგების სისტემების რეაბილიტაცია (საპროექტო სამუშაოები 200 000 ლ);

2021-2022 წლებისთვის, თიანეთის მუნიციპალიტეტში, დაგეგმილია ან უკვე განხორციელების ფაზაშია შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები:

- დაბა თიანეთის შიდაგზების (ხაშურის, გრემის, ხაშურის შეს. ჟალეთის, გორის, სააკაძის, მცხეთის, ყაზბეგის, ნამორაძისა და ბეწუკელის ქუჩების დაერთება) რეაბილიტაცია – 1 014 998 ლ;
- დაბა თიანეთის შიდაგზების (არტნის I შეს., ბეწუკელის ქუჩის გაგრძელება, ცხრაკარის, ხილიანის, რუხაძისა და აღმაშენებლის ქუჩების დაერთება, სამების ტაძრამდე მისასვლელი გზა) რეაბილიტაცია – 1 595 177 ლ;
- დაბა სიონში ვაჟა-ფშაველას ქ. რეაბილიტაცია – 98’213 ლ;
- სოფ. ტუშურებში შიდაგზების რეაბილიტაცია – 116’008 ლ;
- სოფ. ზენამხარი-ჯიჯეთის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია – 10 000 ლ;
- დაბა თიანეთში, სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და სასწრაფო სამედიცინო დახმარების რაიონული სამსახურის ტიპური შენობის ეზოს კეთილმოწყობა – 50 000 ლ;
- სოფ. ალაჭანში შიდაგზების რეაბილიტაცია – 10 714 ლ;
- სოფ. კახოიანებში შიდაგზების რეაბილიტაცია – 10 000 ლ;
- წიკვლიანთკარში სოფელთან დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია – 10 281 ლ;
- ჯერვალიძეებში სოფელთან დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია – 10 281 ლ;
- სოფ. ზარიძეებში შიდასაუბნო გზების რეაბილიტაცია – 12 337 ლ;
- სოფ. ჯიჯეთში ხიდის რეაბილიტაცია – 10 000 ლ;
- სოფ. იარაჯულებში საუბნო გზების რეაბილიტაცია – 10 106 ლ;
- ლახატოში სოფელთან დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია – 11 710 ლ;
- სოფ. საკრეჭიოში ხიდ-ბოგირის რეაბილიტაცია – 11 817 ლ;
- სოფ. ქვემო შარახევში გარეგანათების მოწყობა – 10 438 ლ;
- სოფ. ხოფცაშში შიდაგზების რეაბილიტაცია – 10 281 ლ;
- სოფ. ჯიჯეთში ხიდის რეაბილიტაცია – 10 000 ლ;
- სოფ. დულუზაურებში გარეგანათების მოწყობა – 10 000 ლ;
- სოფ. სხლოვანში გარეგანათების მოწყობა – 10 000 ლ;
- სოფ. კვერნაულაში გარეგანათების მოწყობა – 10 000 ლ;
- სოფ. ღორღაში გარეგანათების მოწყობა – 10 000 ლ;
- სოფ. ბოდახევაში გარეგანათების მოწყობა – 10 000 ლ;
- სოფ. ქვემო არტანში გარეგანათების მოწყობა – 10 579 ლ;
- სოფ. ქუშხევში გარეგანათების მოწყობა – 10 579 ლ;
- სოფ. ახალსოფელში გარეგანათების მოწყობა – 12 000 ლ;
- სოფ. გოჯიაანებში გარე განათების მოწყობა – 10 000 ლ;
- სოფ. კაწალოში ხიდის რეაბილიტაცია – 10 000 ლ;
- სოფ. ჭიაურაში გარეგანათების მოწყობა – 10 000 ლ;
- სოფ. ხაიშოში საფეხმავალო ხიდის მოწყობა – 10 000 ლ;
- სოფ. თეთრახევაშში მდ. კავახევაზე ხიდ-ბოგირის მოწყობა – 19 650 ლ;
- სოფ. მამადაანებში გარეგანათების მოწყობა – 10 000 ლ;
- საჭურეში სოფელთან დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია – 10 281 ლ;
- სოფ. ჭურჭელაურებში გარეგანათების მოწყობა – 10 000 ლ;
- სოფ. ჟებოტაში საუბნო გზების რეაბილიტაცია – 16 000 ლ;
- სოფ. თეგერაანებში გარეგანათების მოწყობა – 10 432 ლ;
- სოფ. ლელოვანში შიდაგზების მოხრეშვა და წყაროს მოპირკეთება – 10 000 ლ;
- სოფ. ძებნიაურებში შიდაგზების რეაბილიტაცია – 10 000 ლ;
- სოფ. ჩეკურაანთგორში გარეგანათების მოწყობა – 10 000 ლ;
- სოფ. ალოტში გარეგანათების მოწყობა – 10 000 ლ;
- სოფ. ევჟენტში შიდაგზების რეაბილიტაცია – 10 281 ლ;
- სოფ. ძირხვნიანში შიდაგზების რეაბილიტაცია – 12 400 ლ;
- სოფ. ნადოკრაში ხიდ-ბოგირის მოწყობა – 10 000 ლ;
- სოფ. ჭანდრისხევში ხიდ-ბოგირის მოწყობა – 10 000 ლ;
- სოფ. ღულელებში შიდაგზების რეაბილიტაცია – 23 580 ლ;
- სოფ. ბალებისხევში გარეგანათების მოწყობა – 10 000 ლ;
- სოფ. თოხოლჩშში შიდაგზების რეაბილიტაცია – 10 000 ლ;
- სოფ. თრანში გარეგანათების მოწყობა – 10 000 ლ;
- სოფ. ქვემო კვერნაულაში გარეგანათების მოწყობა – 10 000 ლ;
- სოფ. კვირიისხევში გარეგანათების მოწყობა – 10 000 ლ;
- სოფ. სიონთგორში გარეგანათების მოწყობა – 10 000 ლ;
- სოფ. ხადოელებში გარეგანათების მოწყობა – 10 000 ლ;
- სოფ. ხევსურთსოფელში შიდაგზების რეაბილიტაცია – 12 000 ლ;
- სოფ. დევენაანთხევში შიდაგზების რეაბილიტაცია -10 000 ლ;
- სოფ. ზემო ნაქალაქარში გარეგანათების მოწყობა – 10 000 ლ;
- სოფ. ბეწენწურებში ხიდ-ბოგირის მოწყობა – 10 000 ლ;
- სოფ. დორეულებში ხიდ-ბოგირის მოწყობა – 10 000 ლ;
- სოფ. ქვემო ნაქალაქარში გარეგანათების მოწყობა – 10 000 ლ;
- სოფ. ბადაანში შიდაგზების რეაბილიტაცია – 10 281 ლ;
- სოფ. ომაარანში გარეგანათების მოწყობა – 10 000 ლ;
- სოფ. ფიჭვიანში გარეგანათების მოწყობა – 10 000 ლ;
- სოფ. ყუდროში ხიდის მოწყობა – 10 000 ლ;
- სოფ. ორხევში გარეგანათების მოწყობა – 12 000 ლ;
- მცხეთა-მთიანეთის რეგიონის ტერიტორიაზე, აქტიურ ფაზაშია ქვეშეთი-კობის საერთაშორისო მნიშვნელობის 23 კმ-იანი გზის მშენებლობა. ამ ეტაპზე მიმდინარეობს ქვეშეთი-კობის ს/გზაზე გვირაბისა და გზის მშენებლობა. პროექტების ჯამური ინვესტიცია 1,3 მილიარდ ლარს აღემატება. სახელმწიფოს გეგმით, 2024 წლამდე, ეტაპობრივად იგეგმება სხვადასხვა მონაკვეთების დასრულება;
- დაიწყება ნატახტარი-ჟინვალის 27-კმ-იანი ჩქაროსნული გზის მშენებლობა.

ლევან წიკლაური: „ვპირდები თიანეთელებს, ყველა სოფელში ჩავალ, ყველას მოვუსმენ და მათი კეთილდღეობისთვის მაქსიმუმს გავაკეთებ“

პოლიტიკაში ახალბედაა. მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკურ ველზე „ქართული ოცნების“ გამოჩენის დღიდან მისი მხარდამჭერია, ამ მიმართულებით აქამდე არ უაქტიურია. კერძო სექტორიდან მოდის. ამ სფეროში, მისმა ოჯახმა დიდ წარმატებას მიაღწია, მაგრამ პრობლემაც ბევრი ნახა. წინა ხელისუფლებასთან დაპირისპირების გამო, შეიძლება ითქვას, ყველაფერი დაკარგეს, მაინც არ დანებდნენ, შეძლეს და ყველაფერი ნულიდან დაიწყეს, წარმატებას ისევ მიაღწიეს. თიანეთშია დაბადებულიც და გაზრდილიც. აქ მაცხოვრებლების ლხინიც უნახავს და გასაჭირიც. უნახავს ის პერიოდიც, როცა თიანეთს ხელისუფლებები ყურადღებას არ აქცევდნენ და ხედავს იმას, მუნიციპალიტეტის განვითარება რა ტემპით მიმდინარეობს. სწორედ ამიტომ გაუჩნდა სურვილი, მერობისთვის იბრძოლოს – უნდა ამ ისტორიული პროცესის მონაწილე გახდეს. გეგმა ბევრი აქვს, მაგრამ თავის თიანელებს ერთადერთ წინასაარჩევნო დაპირებას აძლევს – „კარდაკარ ვივლი, მოვალ თითოეულ ოჯახში, მოგისმენთ, გავიგებ, რა გიჭირთ, რა გჭირდებათ, რას ითხოვთ მერისგან და თქვენ საკეთილდღეოდ ყველაფერს გავაკეთებ, რაც შემეძლება!“

„ქართული ოცნების“ მერობის კანდიდატი ლევან წიკლაური გვიამბობს, როგორი ბავშვობა ჰქონდა თიანეთში, რა სირთულეები გაიარა მისმა ოჯახმა და რის გაკეთებას ისურვებდა მშობლიურ მუნიციპალიტეტში.



დაიბადა 1985 წლის 11 ოქტომბერს, დაბა თიანეთში, მოსამსახურის ოჯახში.

1991-2002 წლებში სწავლობდა დაბა თიანეთის მირზა გელოვანის სახელობის საშუალო სკოლაში; 2002-2006 წლებში – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტზე, საავტომობილო გზებისა და აეროდრომების მშენებლობის სპეციალობით; 2003-2007 წლებში – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, სამართალმცოდნეობის სპეციალობით. 2006 წელს სწავლა განაგრძო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მაგისტრატურაში, სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტზე, აქვს მშენებლობის მაგისტრის აკადემიური ხარისხი. 2017 წელს ასევე სწავლა გააგრძელა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტურაში სამშენებლო ფაკულტეტზე.

2005-2009 წლებში მუშაობდა შპს. „სხივში“ ინჟინერ-მშენებლად; 2009-2010 წლებში – შპს „პროექტმშენკომპანიში“ ინჟინერ-გეოდეზისტად; 2010 წელს – შპს „გზამშენპროექტში“ ტექნიკურ ზედამხედველად. 2010-2011 წლებში იყო შპს „კოქსკონატენდბითის“ ინჟინერ-გეოდეზისტი. 2011 წელს – შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანიის“ ინჟინერი; 2011 წლიდან არის შპს. „გერალის“ დირექტორი.

ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.

– თიანეთში დავიბადე, საგზაო ინჟინერ ტარიელ წიკლაურისა და პედაგოგ მერი ბოდაველის ოჯახში. მამა მთელი ცხოვრება პროფესიით მუშაობდა. სხვადასხვა მუნიციპალიტეტში, მათ შორის თიანეთშიც, საგზაო მიმართულებით, არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განახორციელა. ძალიან პრინციპული, მოსიყვარულე და ერთგული იყო. სამწუხაროდ, მამა გარდაიცვალა, რაც ჩვენი ოჯახის დიდი ტრაგედიაა. დედა კი, წლების განმავლობაში ფიზიკა-მათემატიკის მასწავლებლად მუშაობდა სიონის, ბოჭორმის, თიანეთის სკოლებში. შემდეგ იყო თიანეთის რაიონის განათლების განყოფილების გამგე და რესურსცენტრის ხელმძღვანელი. სამი ძმა ვართ. ჩემი ტყუპისცალი გიორგი, იურისტია. ერთი პერიოდი ძალოვან უწყებებში მუშაობდა, მოგვიანებით კი, მამისა და ჩემს მსგავსად ისიც საგზაო-სამშენებლო მიმართულებით წავიდა. არის ერთ-ერთი კომპანიის დამფუძნებელი. ჰყავს მეუღლე და ორი შვილი. სამართალმცოდნეა უფროსი ძმაც – დათო საკმაოდ კარგად თამაშობდა ფეხბურთს, მაგრამ სერიოზულ სპორტში არ წავიდა. ისიც მამას ეხმარებოდა. მას თავისი კომპანია აქვს. ჰყავს მეუღლე და ოთხი შვილი. მისი სამი ბიჭი, მამის მსგავსად, დიდ ფეხბურთს მისდევს. თიანეთში ძალიან ლაღი ბავშვობა გვქონდა. მშობლები ყველა პირობას გვიქმნიდნენ და ჩვენც მაქსიმალურად ვიყავით სწავლაზე ორიენტირებულნი. დედა ცდილობდა სხვადასხვა აქტივობებშიც ჩავრთულიყავით. ვმონაწილეობდით სასკოლო ოლიმპიადებში, სპორტულ ღონისძიებებში. ხასიათით მე და ჩემი ტყუპისცალი ვგავართ ერთმანეთს. ხშირად ხდება, რაღაცის თქმა მინდა და დამასწრებს ხოლმე. თითქოს, ერთნაირად ვგრძნობთ და ვაფასებთ სიტუაციას. საბავშვო ბაღიც, სკოლაც თიანეთში დავამთავრე. ჩვენი საცხოვრებელი კორპუსის უკან ფეხბურთის მოედანი იყო. მოშორებით, ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნებიც გვქონდა. სკოლა-ინტერნატში კი, საკმაოდ დიდი მოედანი იყო და აქ, სხვადასხვა სოფლების გუნდები ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს. ჩვენი გასართობი ადგილი „კუჟ-ბაღი“ იყო. ტბის პირას ვისვენებდით, საჭიდაო დარბაზებში ვვარჯიშობდით, ფეხბურთს ვთამაშობდით. მუნიციპალიტეტის დონის შეჯიბრებებშიც ვმონაწილეობდით და „მხიარულ სტარტებშიც“. სხვათაშორის, სამჯერ მოვიგეთ კიდეც და თასიც დარჩა ჩვენთან. ხშირად ეწყობოდა კულტურული ღონისძიებებიც, გამოფენები. თიანეთობა კი ჩვენთვის ნამდვილი დღესასწაული იყო. დღესაც ნოსტალგიით და სიამოვნებით ვიხსენებ იმ წლებს.

– მამა საკმაოდ ადრეულ ასაკში დაკარგეთ. მისი რჩევებიდან ყველაზე ხშირად რა გახსენდებათ და ბიჭებს ოჯახის ტვირთის დამოუკიდებლად ტარება თუ გაგიჭირდათ?

– მამის დარიგება მუდმივად მახსოვს – გვეუბნებოდა, რომ პრინციპულები უნდა ვყოფილიყავით და ყოველთვის სიკეთე გვეკეთებინა. „თუ შეგიძლია ადამიანს სიკეთე გაუკეთო, უკან არ დაიხიო. არ დაიკარგება, წლების შემდეგ, როცა საჭირო იქნება, სიკეთე უკან მოგიბრუნდება. არასდროს არავისი არაფერი შეგშურდეს. თუ სხვას აქვს რაღაც, რაც შენც გინდა, ეცადე, შენც მიაღწიო. სხვისი არასდროს არაფერი მიისაკუთრო. ცხოვრებაში როგორ უსამართლობას ან წარუმატებლობასაც უნდა წააწყდე, არასდროს გაბოროტდე!“ – მამის ეს სიტყვები, დღესაც ხშირად მახსენდება. მე და ჩემი ძმები სწორედ ამ პრინციპებით ვცხოვრობთ. მისი არყოფნა ჩვენთვის უდიდესი ტკივილი და ძალიან დიდი დანაკლისია. მამის გარდაცვალების შემდეგ მწარე რეალობის წინაშე დავდექით. მაგრამ ესეც მამამ გვასწავლა – ბევრი ცუდი რამ შეიძლება ცხოვრებაში მოხდეს, ბევრჯერ შეიძლება დაეცე, მაგრამ აუცილებლად უნდა იპოვო ძალა და წამოდგე. ჩვენც „წამოვდექით“. მე, მანამდეც ვიყავი ჩვენი საპროექტო-სამშენებლო კომპანიის, „გერალის“ დირექტორი და მამის გარდაცვალების შემდეგ, მისი მართვა, მეტი პასუხისმგებლობით გავაგრძელე.

– როგორც ვიცით, ერთ-ერთ ეკლესიაში ხართ სტიქაროსანი. როგორ დაიწყო თქვენი ეკლესიური ცხოვრება?

– 2018 წელს მამის გარდაცვალების შემდეგ, სტერსის გამკლავებაში ძალიან დამეხმარა ჩემი სულიერი მოძღვარი მამა იაკობი, რომელიც მოღვაწეობს თბილისში, ვარკეთილის ივერიის ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძარში. ორიოდე სიტყვა რომ არ ვთქვა მამა იაკობზე, არ ვიქნები მართალი. მამა იაკობს დიდი სიყვარულისა და დიდი სიკეთის გაცემა შეუძლია. დევიზით: „საქართველოს ეკლესია არის ყველას მფარველი“, – სულიერად ზრუნავს და ფიზიკურად ეხმარება მათ, ვისაც ყველაზე მეტად სჭირდება.

ტაძართან არსებულ უპოვართა სასადილოში 500 შეჭირვებულ ადამიანს ყოველდღე უმასპინძლდებიან ცხელი სადილით, ტაძართან არსებულ სკოლა „ივერიონში“ 180-მდე მოზარდი სრულიად უფასოდ სწავლობს სხვადასხვა მიმართულებით. ეს მცირე ჩამონათვალია მისი ღვაწლისა, გაცემული ნუგეშისა და სიკეთისა.

მამა იაკობისა და ტაძრის ყველა მსახურის ასეთმა დამოკიდებულებამ დაკისრებული მოვალეობისადმი, ღვთისა და ხალხის სიყვარულმა, მათმა შინაგანმა სიკეთემ, ძალა შემმატა, რწმენა გამიძლიერა, სულიერად ამამაღლა, გაზარდა ჩემში პასუხისმგებლობა, გამიჩინა კიდევ უფრო მეტი სიკეთის კეთების სურვილი, რისთვისაც მათი უზომოდ მადლიერი ვარ.

ტაძარში სიარულის დაწყებიდან ერთ წელიწადში შემმოსეს სტიქაროსნად. მას შემდეგ აქტიურად ვარ ჩართული საეკლესიო ცხოვრებაში.

– „გერალის“ დაფუძნების იდეა როდის გაჩნდა და წარმატებამდე რა სირთულეების გადალახვა მოგიწიათ?

– „გერალი“ მამამ 2011 წელს დააფუძნა. ფაქტობრივად, მაშინ საქმე ნულიდან დავიწყეთ. როგორც მოგახსენეთ, მამა მთელი ცხოვრება ამ სფეროში იყო. ჯერ კიდევ 1997 წლიდან ჰქონდა წარმატებული კომპანია „სხივი“. ბიზნესი სხვადასხვა მიმართულებით, ნელ-ნელა განავითარა. ნაციონალების დროს კი, პრობლემები შეექმნა. მამა, თავისი სპეცტექნიკით, ადგილობრივ ხელისუფლებას, სისტემატურად ეხმარებოდა, განსაკუთრებით სტიქიების დროს, რაშიც ერთი თეთრიც კი არ აუღია, საკუთარი ხარჯებით აკეთებდა. მოხდა ისე, რომ ერთ-ერთი სტიქიის დროს, როცა ადგილობრივმა ხელისუფლებამ, სტიქიისგან დაზიანებული გზების შეკეთებაში დახმარება სთხოვა, მამა საავტომობილო გზების დეპარტამენტთან ერთად, ერთ პროექტს აკეთებდა. უთხრა, რომ რამდენიმე დღე სჭირებოდა მის დასასრულებლად, დაეწყოთ და ისიც შეუერთდებოდა. ეს მაშინდელმა ადგილობრივმა ხელისუფლებამ არ აპატია. ცენტრალურ ხელისუფლებაში ყველა მამას წინააღმდეგ განაწყვეს, ისე დახატეს, თითქოს დახმარებაზე უარი თქვა და პრობლემებიც დაიწყო. კომპანიაში შემოსავლების სამსახური და პროკურატურა შემოვიდა, ქონება დააყადაღეს, ტექნიკა

დაუკითხავად წაიღეს და აუქციონებზე გაყიდეს. ყველა, ვისთანაც ვთანამშრომლობდით გააფრთხილეს ჩვენთან არ ეთანამშრომლათ, მანამდე დედაც სამსახურიდან გაათავისუფლეს, ათასი ბინძური ჭორი და მეთოდი გამოიყენეს (იცით, მაშინ საქმეები როგორ იკერებოდა) და მამა ციხეში გაუშვეს, ციხეში გაუშვეს მისი დისშვილიც, ჩემი და ჩემი ძმების დაჭერაც უნდოდათ... მამას ამ ნერვიულობაზე დიაბეტი დაემართა, ხოლო შემდეგ ინფარქტი მიიღო და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა, ციხიდან გამოსვლის შემდეგ ერთბაშად გატეხილი და იმედგაცრუებული იყო. ხალხი ძალიან კარგად იცნობს ჩვენ ოჯახს თიანეთში. მათმა თანადგომამ, თანაგრძნობამ, სხვაგვარად განგვაწყო, რისთვისაც ყველასი მადლობელი ვარ. მოგვიანებით, გაჩნდა იმედი და „გერალიც“ დავაფუძნეთ. ერთმა ახლობელმა გამოთქვა სურვილი, რომ ახმეტაში სამუშაოები შეგვესრულებინა, მისი ძალიან მადლიერი ვარ. გამოვხატავ მადლიერებას საავტომობილო გზების დეპარტამენტის მუშაკების, მამაჩემის მეგობრების, ჯგუფელების მიმართ, დახმარებისა და მხარდაჭერის გამო. მას შემდეგ ბევრი პროექტი განვახორციელეთ, მათ შორის თიანეთშიც; გავაკეთეთ გზები, სოფლების გზები მოვხრეშეთ, თიანეთში ქუჩები მოვაასფალტეთ, მოვახდინეთ სოფლებს შორის დამაკავშირებელი გზების რეაბილიტაცია. ჩემი გამარჯვების შემდეგ, კომპანიას ძმები მიხედავენ.

– ამ ფონზე, გასაკვირი არ არის „ქართული ოცნების“ მხარდამჭერი გამხდარიყავით. პოლიტიკურად როდის გააქტიურდით?

– უმნიშვნელოვანესი იყო პოლიტიკაში ბატონი ბიძინა ივანიშვილის გამოჩენა და „ქართული ოცნების“ დაფუძნება. 2012 წლიდანვე აქტიურად დავუდექით გვერდით ამ გუნდს მეც, მამაც, ჩემი ძმები, მთელი ოჯახი, თუმცა, პოლიტიკურად მხოლოდ ახლა გავაქტიურდი, როცა თიანეთის მერობისთვის ბრძოლა გადავწყვიტე. ძალიან მიხარია და ამაყი ვარ, „ქართული ოცნების“ გუნდის მხრიდან გამოცხადებული ნდობის გამო. ჩემთვის უდიდესი პატივი და პასუხისმგებლობაა ასეთი ნდობა. მაქვს ჩემი თიანელების იმედი. ხელისუფლებაში „ქართული ოცნების“ მოსვლის შემდეგ, თიანეთშიც დაიწყო განვითარება და წინსვლა. მინდა, ამ პროცესის მონაწილე გავხდე.

– ხელისუფლებაში „ქართული ოცნების“ მოსვლის შემდეგ ქვეყანაში ბიზნესგარემოც შეიცვალა?

– დიახ! შედარებაც არ შეიძლება. დღეს ქვეყანაში ძალიან კარგი ბიზნესგარემოა. ბიზნესზე ზეწოლა არ ხდება. პირიქით, მაქსიმალური ხელშეწყობაა, რათა დაიწყო საკუთარი ბიზნესი და განავითარო. განსაკუთრებული შეღავათებია მაღალმთიანი სტატუსის მქონე სოფლებისთვის, მათ შორის, საგადასახადო კუთხითაც. მაქსიმალურად ვეცდები, მოსახლეობას მეტი ინფორმაცია მივაწოდო სახელმწიფო პროგრამების შესახებ, რათა დაიწყონ საკუთარი ბიზნესი და დავეხმარო მათ განხორციელებაში.

– რა გამოწვევების წინაშე დგას დღეს თიანეთი და თქვენ რა გეგმები გაქვთ მშობლიურ მუნიციპალიტეტთან დაკავშირებით?

– მიუხედავად იმისა, რომ ბევრი რამ გაკეთდა, თიანეთში არაერთი გამოწვევა დღემდე რჩება. მთელ რიგ სოფლებში შიდაგზებია გასაკეთებელი და ამას აუცილებლად უნდა მივხედოთ. სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მთელი მუნიციპალიტეტის მასშტაბით წყალმომარაგების საკითხის, გადაწყვეტა, სისტემების მოწესრიგების, გაზიფიცირების პროცესის დროული დასრულება. ჩემი ერთ-ერთი პრიორიტეტი ახალგაზრდების დასაქმების ხელშეწყობა იქნება. მინდა, სხვადასხვა სივრცის, სპორტული მოედნების მოწყობით, კულტურული ღონისძიებების დაგეგმვით, ახალგაზრდებს ისეთი პირობები შევუქმნათ, რომ თიანეთიდან წასვლის სურვილი არასდროს გაუჩნდეთ. ხელი უნდა შევუწყოთ სოფლის განვითარებას, საოჯახო ტურიზმს. ამ მხრივ, ჩვენს მუნიციპალიტეტს დიდი პოტენციალი აქვს. აქ ბევრი კულტურული თუ ისტორიული ძეგლი და ულამაზესი ბუნებაა. ვიზიტორები როცა გვსტუმრობენ ადგილობრივები ოთახებს აქირავებენ, რამდენიმე საოჯახო სასტუმროცაა, მაგრამ არასაკმარისია. კარგი იქნება 30-ნომრიანი სასტუმრო მაინც რომ აშენდეს. დარწმუნებული ვარ, მუდმივად დატვირთული იქნება. ზამთარ-ზაფხულ ბევრი ვიზიტორი სტუმრობს საბადურის ტყეს. შეგვიძლია მისი განვითარებაც, სხვადასხვა დატვირთვის სივრცეების მოწყობით, შესაძლებელია რამდენიმე კოტეჯის ტიპის სასტუმროს ჩადგმა. განსაკუთრებული ყურადღება ჭირდება დაბა სიონისა და სიონის წყალსაცავის მოწესრიგებას.

– როგორ არჩევნებს ელოდებით თიანეთში და რატომ უნდა დაგიჭირონ თიანელებმა მხარი მაინცდამაინც თქვენ?

– „ქართული ოცნების“ გაკეთებული, უკვე დაწყებული და სამომავლოდ დაგეგმილი საქმეების ალტერნატივის შემოთავაზების შესაძლებლობა არცერთ სხვა ძალას არ გააჩნია. „ქართული ოცნება“ უალტერნატივოა. გუნდს საზოგადოებაში ძალიან მაღალი რეიტინგი აქვს, ვფიქრობ არჩევნები მშვიდად ჩაივლის. დარწმუნებული ვარ თიანელები ხმას ჩვენ მოგვცემენ და პირველივე ტურში გავიმარჯვებთ. ჩვენც, ყველა ერთად, ჩვენი ულამაზესი თიანეთის განვითარებას გავაგრძელებთ. ვპირდები ჩემს თიანელებს, ყველა სოფელში ჩავალ, ყველას მოვუსმენ, ყველაფერს გავაკეთებ მათი კეთილდღეობისთვის, თიანეთის განვითარებისთვის.

სკოლის მერხიდან დაწყებული სიყვარული და ლევან წიკლაურის „სამოთხე დედამიწაზე“

მათი სიყვარულის ისტორია სკოლის მერხიდან იწყება. იმ დღიდან, არეულობის გამო ნანა კვარაცხელიას ოჯახი იძულებული რომ გახდა, თიანეთში პაპა-ბებიასთან გადასულიყო. ახსოვს ის დღე, კლასში პირველად რომ შემოვიდა „ახალი გოგო“ და პირდაპირ მის გვერდით დასვეს. 11 წელი გაატარეს ერთ მერხთან. დანახვისთანავე მოეწონა. როგორც მერე გაირკვა, სიმპათიები გოგონასაც გაუჩნდა.

ურთიერთობაში მცირე პაუზა სტუდენტობის დროს ჰქონდათ. ბატონი ლევანი ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტში იურიდიულზე სწავლობდა. პარალელურად საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის სტუდენტიც იყო, სადაც ბაკალავრის და მაგისტრის ხარისხიც მიიღო, საბოლოოდ, მამის კვალს დაადგა. სტუდენტობის პერიოდი საინტერესო და ემოციებით დატვირთული იყო. მოგვიანებით, მამასთან ერთად ბიზნეს საქმიანობაში ჩაერთო და მივლინებებიც ხშირად ჰქონდა. აქტიური ცხოვრებით ცხოვრობდა, საქართველოს სხვადასხვა კუთხეშიც ხშირად უწევდა წასვლა და საზღვარგარეთაც. ყოველთვის, სადაც უნდა ყოფილიყო, თვალწინ ის გოგო უტრიალებდა – „მერხის თანაზიარი“. ამიტომ ცდილობდა, მეგობრების დახმარებით, მის შესახებ ყოველთვის ჰქონოდა მაქსიმალური ინფორმაცია – დღეს სად მიდის, რა აცვია, ვისთან ერთადაა.

ურთიერთობის „განახლების“ შემდეგ დაქორწინება გადაწყვიტეს, მაგრამ გოგოს ოჯახის მხრიდან პრობლემას წააწყდა. ეს ზუსტად ის პერიოდია, კანდიდატის ოჯახს ნაციონალებთან პრობლემა რომ შეექმნა და ათასი სისაძაგლე მოუგონეს. რჩეულის ოჯახში დიდი გულშემატკივარი ჰყავდა, ნანას ბებო – ვალია ჯუგაშვილი, რომელიც დედამისს იცნობდა, მაგრამ რას გახდებოდა ვალია ბებო... ერთ დღეს ნანას დაურეკა და უთხრა, მანქანით გამოგივლი ჩემთან მიმყავხარო. ისიც წაჰყვა... დროთა განმავლობაში ყველაფერი დალაგდა. დღეს სიდედრ-სიმამრთან არაჩვეულებრივი ურთიერთობა აქვს. ისინი მის საარჩევნო კამპანიაშიც აქტიურად არიან ჩართულები.

ნანა კვარაცხელია ინგლისური ენის სპეციალისტია. ნათარგმნი აქვს ACCA-ს პროგრამის სახელმძღვანელო და სალექციო კურსსაც კითხულობდა, მაგრამ შემდეგ ფინანსებითა და საბანკო საქმით დაინტერესდა. რამდენიმე ბანკში იმუშავა. დღეს კი ერთ-ერთ მიკროსაფინანსო ორგანიზაციაში პლასტიკური ბარათების დეპარტამენტის უფროსია.

ლევან წიკლაური 24 წლის იყო, პირველად რომ გახდა მამა. ამბობს, რომ ვერასოდეს გადმოსცემს სიტყვებით იმ საოცარ გრძნობას, როცა ახალშობილი სალი გულზე მიიხუტა. ამბობს იმასაც, რომ იგივე შეგრძნებები ჰქონდა მომდევნო ორი შვილის დაბადების დროსაც. სალი 11 წლისაა. კარგად სწავლობს. თავისუფლად ლაპარაკობს ინგლისურად. უყვარს ქართული ცეკვა.

ბიჭის სახელის შერჩევისას, ცოტა იეშმაკა – რადგან თავად პაპის სახელი ჰქვია, შვილს ლევანი დაარქვა და თქვა, ჩემი კი არა, დიდი პაპის მოსახელეაო. გულის სიღრმეში ძალიანაც სიამოვნებს, რომ შვილი მის სახელსაც ატარებს. ლევან-უმცროსი წიკლაური 8 წლისაა. ისიც კარგი მოსწავლეა. ადრე ფეხბურთზე დადიოდა, მაგრამ სპორტის ამ სახეობით დიდად არ მოიხიბლა და თავი დაანება. სამაგიეროდ, ძალიან გაიტაცა კალათბურთმა და ცურვამ. მშობლების მთავარი მოთხოვნა სწავლაა. შვილებს ყველა პირობას უქმნიან, რათა მისცენ ის, რასაც ვერასდროს ვერავინ წაართმევს და რაც მათ კარგ მომავალს უზრუნველყოფს.

ოჯახის ყველაზე საპატიო წევრი 1 წლის ლივია. და-ძმას ერთმანეთთან საოცარი ურთიერთობა აქვს. არასდროს ჩხუბობენ, ერთმანეთზე არასდროს ეჭვიანობენ და ლივისაც განსაკუთრებით ანებივრებენ. ერთი ეგ არის, ზოგჯერ ისე გამოხატავენ ემოციებს, ისე კოცნიან და ეხუტებიან პატარა დაიკოს, მშობლებს ეშინიათ, უნებურად რამე არ ატკინონ.

შინ მისულს, სალი და ლევანი კართან ეგებებიან და ეხუტებიან. მის ხმას გაიგებს თუ არა, ცქმუტვას იწყებს ლივიც. არ აქვს მნიშვნელობა, თავის სავარძელშია მოკალათებული თუ რომელიმე ოჯახის წევრის მკლავებში – მაშინვე მთელი ტანით ამოძრავდება, სიცილს დაიწყებს, პაწაწინა ხელებს მამისკენ გაიშვერს და მიახვედრებს, ხელში ამიყვანეო. აი მაშინ კი, როცა მამა ხელში აწევს, გულზე თავს მიადებს და მშვიდად იძინებს. ამ დროს არაამქვეყნიურ სიმშვიდეს გრძნობს მამაც.

ლევან წიკლაურის „სამოთხე დედამიწაზე“ მისი ოჯახია. სიამოვნებას ანიჭებს ოჯახის წევრებთან ერთად სადმე, ბუნების წიაღში გასეირნებაც და მეგობრების გარემოცვაში ყოფნაც. იცის, რომ გამარჯვების შემდეგ ამისთვის ცოტა დრო დარჩება, მაგრამ არ ღელავს – მთავარი ის არის, რომ რადგან შანსი მიეცა, რადგან გუნდმა ნდობა გამოუცხადა, მშობლიური თიანეთისთვის უნდა დაიხარჯოს და ბევრი კარგი საქმე გააკეთოს. აკი მამამ ასწავლა – „თუ შეგიძლია, სიკეთე აკეთე, უკვალოდ არ დაიკარგება, შენ შვილებს დახვდება წინ!“

ჯანმრთელობის დაცვა

„ქართული ოცნებისთვის“ უმთავრესი ღირებულება არის ადამიანი, ხოლო საქმიანობის უმნიშვნელოვანესი პრინციპი – ადამიანზე, მის ღირსებაზე, სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე ზრუნვა. ხარისხიანი და საყოველთაოდ ხელმისაწვდომი, სოციალური სამართლიანობის პრინციპზე დაფუძნებული ჯანმრთელობის დაცვის სისტემის შენარჩუნება და შემდგომი განვითარება „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია.

2012 წლის შემდეგ უპრეცედენტოდ, 4,5-ჯერ გაიზარდა ჯანდაცვის დაფინანსება.

2013 წელს **საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის** ამოქმედებით, „ქართულმა ოცნებამ“ საფუძველი ჩაუყარა ჯანდაცვის ხარისხიან სერვისებზე უნივერსალურ ხელმისაწვდომობას. 2017 წლიდან განისაზღვრა ბენეფიციარების შემოსავლების მიხედვით დიფერენციაციის ახალი კრიტერიუმები. შედეგად, 40%-დან 99.9%-მდე გაიზარდა მოსახლეობის სერვისებით მოცვა, დაფინანსდა 8,6 მლნ-ზე მეტი შემთხვევა (2,8 მლნ ბენეფიციარი), რაზეც 4,6 მლრდ ლარზე მეტი გამოიყო. 2013-2020 წლებში, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით, **თიანეთის მუნიციპალიტეტზე,** გამოყოფილია 15 848 446 ლარი, დაფინანსდა 20 645 შემთხვევა, მათ შორის: **გეგმური ამბულატორიული** (42 636,3 ლარით 48 015 ბენეფიციარი), **გადაუდებელი ამბულატორიული** (671 150 ლარით 9 634 შემთხვევა), **გადაუდებელი სტაციონარული** (11 176 759 ლარით 6 319 შემთხვევა), **გეგმური ქირურგიული** (2 355 250 ლარით 2 316 შემთხვევა), **მშობიარობა და საკეისრო კვეთა** (468 978 ლარით 807 შემთხვევა) და **ქიმიო, ჰორმონო და სხივური თერაპია** (598 314 ლარით 1 282 შემთხვევა). გაიზარდა ონკოლოგიური პაციენტების ქიმიოთერაპია/სხივური თერაპიის კომპონენტში არსებული ლიმიტი 8 000 ლარის ოდენობით. **ქრონიკული დაავადების მქონე მოწყვლადი ჯგუფებისთვის მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის პროგრამა** ამოქმედდა სოციალურად დაუცველი პირების (სარეიტინგო ქულა 100 ათასამდე), საპენსიო ასაკის მოქალაქეებისა და შშმ ბავშვებისთვის, ვეტერანებისა და გამყოფი ხაზის სოფლების მოსახლეობისთვის. 2017-2021 წლებში (ივლისის მდგომ.), პროგრამით, **თიანეთში** დაფინანსდა 1079 ბენეფიციარი (61, 664 ლარი). 2012 წლის შემდეგ, 3,4-ჯერ – 29,0 მილიონი ლარიდან 100,7 მილიონ ლარამდე გაიზარდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან **საზოგადოებრივი ჯანდაცვის დაფინანსება,** მათ შორის, უპრეცედენტოდ, 7-ჯერ გაიზარდა **იმუნიზაციის პროგრამის ბიუჯეტი** (24.1 მლნ ლარი შეადგინა). სახელმწიფო უზრუნველყოფს 13 დაავადების პრევენციას, წარმატებით დაინერგა 5 ახალი ვაქცინა. **თიანეთის მუნიციპალიტეტში** იმუნიზაციით მიზნობრივი ჯგუფის მოცვის მაჩვენებელი 2020 წელს 100% იყო. **ტუბერკულოზის ეროვნული პროგრამით** განხორციელებული ღონისძიებების შედეგად, უკანასკნელ წლებში შემცირდა ტუბერკულოზის გავრცელება – 2013 წლის შემდეგ, **თიანეთში,** სტაციონარული მკურნალობით 74-მა (190 103 ლარი), ამბულატორიული მომსახურებით – 374-მა პაციენტმა (59 000 ლარი) ისარგებლა. **დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის სფეროში** ხელისუფლების მხრიდან გატარებული თანმიმდევრული პოლიტიკის შედეგად, 2017 წელს დაფიქსირდა დედათა სიკვდილობის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი, წინა წლებთან შედარებით (13.1/100 000 ცოცხალშობილზე). 2018 წლიდან 8-მდე გაიზარდა ვიზიტების რაოდენობა ორსულთათვის. 2014 წლიდან ყველა ორსული უზრუნველყოფილია ფოლიუმის მჟავითა და რკინის პრეპარატით. 2013-2020 წლებში, **თიანეთის მუნიციპალიტეტში** ანტენატალური სერვისი მიიღო 1 245-მა (დაფინანსება 67 006 ლ), მედიკამენტები – 287-მა ორსულმა.

2015 წლიდან საქართველოში, მსოფლიოში პირველად, დაიწყო **C-ჰეპატიტის ელიმინაციის (აღმოფხვრის) პროგრამა** (21,7 მლნ ლარი). პროგრამა მოიცავს საქართველოს მოქალაქეებისათვის უფასო სკრინინგს, დაავადების დიაგნოსტიკასა და კომპანია „გილეადის“ დაფინანსებით C ჰეპატიტით დაავადებული პაციენტების უფასო მკურნალობას უახლესი თაობის ძვირადღირებული მედიკამენტებით. პროგრამის დაწყებიდან 2021 წლის 1 მაისამდე, გამოკვლეულია 2,3 მლნ ბენეფიციარი, მკურნალობაში ჩაერთო 74 ათასზე მეტი და დაასრულა 70 ათასზე მეტმა პირმა, მიღწეულია უპრეცედენტო შედეგი – სრულად განიკურნა დაავადებულთა 98,9%, გადარჩა 68 ათასი ადამიანის სიცოცხლე. საქართველო C-ჰეპატიტთან ბრძოლაში გლობალურ ლიდერადაა აღიარებული. **თიანეთის მუნიციპალიტეტიდან მკურნალობასა და სადიაგნოსტიკო კვლევებში ჩართული იყო 187 პირი, დაიხარჯა – 36 984 ლარი.**

2012 წლის შემდეგ, **თიანეთის** მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის მნიშვნელოვნად გაიზარდა **სამედიცინო მომსახურების დაფინანსება პრიორიტეტულ სფეროებში,** მათ შორის: ფსიქიკური ჯანმრთელობის, დიაბეტის მართვის, დიალიზის და თირკმლის ტრანსპლანტაციის, იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პაციენტთა მკურნალობის, პირველადი და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფის, რეფერალური მომსახურების პროგრამების დაფინანსება. **რეფერალური მომსახურების პროგრამის განვითარების შედეგად,** გაიზარდა სტიქიური უბედურებების, კატასტროფების, საგანგებო სიტუაციების, კონფლიქტურ რეგიონებში დაზარალებულ მოქალაქეთა და საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული სხვა შემთხვევების დროს მოსახლეობის სამედიცინო დახმარების მიწოდება. თიანეთში, 2013-2021 წლებში სულ 279 შემთხვევა 254 815 ლარით დაფინანსდა.

2013 წლიდან ხორციელდება პირველადი ჯანდაცვის განახლებული ქსელის მოწყობა. პირველადი ჯანდაცვისა და სოფლის ექიმის როლის გაძლიერების მიზნით, 2014 წლიდან სახელმწიფოს სრული კომპეტენცია გახდა **„სოფლის ექიმის“ პროგრამის** მართვა. 2014 წლის მაისიდან 30%-ით გაიზარდა **სოფლის ექიმებისა და ექთნების ხელფასი;** 2019 წელს „სოფლის ექიმის“ სახელმწიფო პროგრამაში მონაწილე სოფლის ექიმები/ექთნები გადავიდნენ სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის მართვაში, სახელმწიფო აფინანსებს მათი საქმიანობისათვის აუცილებელ ხარჯებს. მიკრობიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკურ პირად დარეგისტრირების შემთხვევაში, სოფლის ექიმები/ექთნები თავისუფლდებიან საშემოსავლო გადასახადისგან. **თიანეთის მუნიციპალიტეტს 20 სოფლის ექიმი და ექთანი ემსახურება.**

მუნიციპალიტეტის მიერ ჯანდაცვის სფეროს მიმართულებით ხორციელდება – გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობა და კონტროლის ღონისძიებები, იმუნო პროფილაქტიკის დაგეგმვა, განხორციელების ხელშეწყობა და ლოჯისტიკის უზრუნველყოფა, პარაზიტული დაავადებების ეპიდკვლევა, დიაგნოსტიკა, პროფილაქტიკური მკურნალობა; საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო -საააღმზრდელო დაწესებულებებში სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა და სხვ.

ხარისხიანი და ხელმისაწვდომი სამედიცინო მომსახურების უზრუნველსაყოფად:

- გაიზრდება მოსახლეობის ხელმისაწვდომობა ჯანმრთელობის დაცვის ხარისხიან სერვისებსა და სამკურნალო საშუალებებზე;
- გაიზრდება ჯანმრთელობის დაცვის სფეროში დასაქმებული პერსონალის შრომის ანაზღაურება და უწყვეტ განათლებაზე ხელმისაწვდომობა;
- საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით, კვლავ უზრუნველყოფილი იქნება სამედიცინო სერვისების ფინანსური და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა, მიზნობრივი ჯგუფები უზრუნველყოფილი იქნებიან შესაბამისი სამედიცინო მომსახურებით და სამკურნალო მედიკამენტებით;
- განხორციელდება ეფექტიანი სახელმწიფო პროგრამები საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და პრიორიტეტულ სფეროებში მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურების მისაწოდებლად;
- გაიზრდება ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების მიზნობრიობა და ეფექტიანობა ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობით;
- განხორციელდება ჯანდაცვის სფეროს უმთავრესი პრიორიტეტის – პირველადი ჯანდაცვის სისტემის რეფორმის მომდევნო ეტაპი. გაიზრდება სისტემის „მეკარიბჭის“ ფუნქცია – უზრუნველყოფილი იქნება მოსახლეობის ავადობის ადრეული გამოვლენა და შეკავება;
- გაიზრდება სოფლის ექიმისა და ოჯახის ექიმის როლი და მნიშვნელობა;
- გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დაფინანსება;
- დაიხვეწება და გაფართოვდება ჯანმრთელობის დაცვის მუნიციპალური პროგრამები;
- მუნიციპალიტეტი ხელს შეუწყობს დაავადებულთა სასიცოცხლო მნიშვნელობის მკურნალობის ჩატარებას;
- მუნიციპალიტეტი განახორციელებს მის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის ჯანმრთელობაზე მეთვალყურეობას და ჯანმრთელობის რისკებისა და საგანგებო სიტუაციების ქმედით მონიტორინგს და მათზე რეაგირებას.

ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲓᲐᲪᲕᲐ

2012 წლის შემდეგ, 2,7-ჯერ – 1,7 მილიარდიდან 4,7 მილიარდ ლარამდე გაიზარდა სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება.

2012 წლის შემდეგ, ეტაპობრივად გაიზარდა სახელმწიფო პენსიის ოდენობები: 2012 წლისათვის **საპენსიო ასაკის პირთა პენსია** 100 ლარი იყო, 2020 წლის იანვრიდან 2,2-ჯერ მეტი – 220 ლარი, **70 წლის და მეტი ასაკის მოქალაქეთა პენსია** – 250 ლარი; 2021 წლიდან პენსიის ოდენობა 240 ლარით განისაზღვრა, 70 წელს გადაცილებულთა კი – 275 ლარით. 2016 წლიდან განისაზღვრა პენსიის დანამატი **მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეებისათვის**, რაც შეადგენს ასაკით პენსიის ოდენობის 20%-ს (264 ლარის ნაცვლად 288 ლარი, ხოლო მთაში მცხოვრები 70 წლის და მეტი ასაკის პენსიონერი – 330 ლარი). დანამატს იღებენ მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები სოციალური პაკეტის მიმღები პირები (დანამატი – სოციალური პაკეტის 20%). 2017 წლის იანვრიდან გათვალისწინებულია მაღალმთიანი აბონენტის (საყოფაცხოვრებო მომხმარებლის) მიერ მაღალმთიან დასახლებაში მოხმარებული ელენერგიის ყოველთვიური საფასურის 50%-ის ანაზღაურება (არა უმეტეს 100 კვტ/სთ). **თიანეთის მუნიციპალიტეტში** სახელმწიფო **პენსიის მიმღებია** (01.04.2021 წ. მდგომ. 2 664 პირი. 2012 წლის შემდეგ, 2,1-ჯერ – 3 547 850-დან 7 334 085 ლარამდე გაიზარდა პენსიების ანაზღაურებაზე გაწეული ხარჯი. 2013-2020 წლებში, სულ 47 391 186 ლარი დაიხარჯა. **სახელმწიფოს წინაშე განსაკუთრებული სამსახურის** გავლის, აგრეთვე ამ პირთა მიერ შესაბამისი ასაკის მიღწევის, **შესაძლებლობის შეზღუდვისა** და **გარდაცვალების გამო** გასაცემი კომპენსაციის ოდენობა. **თიანეთში** სახელმწიფო კომპენსაციის მიმღები (01.04. 2021 მდგომ.) 31 პირია. 2012 წლის შემდეგ, კომპენსაციებზე გაწეული ხარჯი 3,1-ჯერ – 57 123-დან 174 862 ლარამდე გაიზარდა, 2013-2021 წლებში სულ სახელმწიფო კომპენსაციებზე 1 207 890 ლარი გაიცა.

მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარების პროგრამის ფარგლებში, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახები უზრუნველყოფილნი არიან მიზნობრივი სოციალური დახმარებით – საარსებო შემწეობით. პროგრამით ასევე გაიცემა: ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ახალშობილის შვილადაყვანის გამო დახმარების, ლტოლვილთა და დევნილთათვის შემწეობების, შრომითი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანის ანაზღაურება და სხვ. შემწეობები. თიანეთში, სოციალური დახმარებით უზრუნველყოფილი სიღარიბის ზღვარსქვემოთ მყოფი 719 ოჯახია (01.04. 2021 მდგომ.). 2012 წლის შემდეგ 1,9-ჯერ – 704 ათასიდან 1 361 ათას ლარამდე გაიზარდა საარსებო შემწეობებზე გაწეული ხარჯი. 2013-2021 წლებში, სულ დაიხარჯა 10 789 ათასი ლარი, მათ შორის პენსიონრებზე – 3 172 ათასი, შშმ პირებზე – 864 ათასი, ბავშვებზე – 3 403 ათასი. **შშმ პირები, მარჩენალდაკარგულები და სხვა სოციალურ კატეგორიებს მიკუთვნებულ პირთა წრე** ყოველთვიურად უზრუნველყოფილია სოციალური პაკეტით – თიანეთში**,** სოციალური პაკეტით სარგებლობს 395 მიზნობრივი ჯგუფი (01.04.2021 წ. მდგომ.), 2012 წლის შემდეგ, გაწეული ხარჯი 7-ჯერ – 101 744-დან 703 906 ლარამდე გაიზარდა. 2013-2021 წლებში, სულ დაიხარჯა 4 470 721 ლარი.

თიანეთის მუნიციპალიტეტში 19 დევნილია (01.04.2021 წ. მდგომ.). 2013-2021 წლებში, დევნილთა შემწეობებზე დაიხარჯა 46 019 ლარი. **დევნილებზე** ზრუნვა, მათი განსახლება და სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება სახელმწიფოს ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია. 2013 წლიდან, განსახლების კრიტერიუმების შესაბამისად, დევნილებს ახალაშენებულ კორპუსებში ბინები და სოფლად სახლები გადაეცემათ. 2013 წლიდან (07.2021 წ. მონაც.), საქართველოს მასშტაბით, განსახლების პროგრამებით, საცხოვრებელი ფართი 23 068-მდე დევნილ ოჯახს გადაეცა, მათგან თიანეთში დაკმაყოფილდა 4 ოჯახი, მათ შორის: პროექტით „სოფლად სახლი“ სახელმწიფომ სახლი 4 ოჯახს შეუსყიდა. საქართველოს მასშტაბით, მიმდინარე წლის ბოლომდე, დამატებით, 1 359 დევნილი ოჯახი განსახლდება. ასევე გრძელვადიანი საცხოვრებლით სახელმწიფომ, საქართველოს მასშტაბით, 1997 **ეკომიგრანტი ოჯახი** დააკმაყოფილა: 2013-2021 წ.წ. 667 ოჯახს დაუკანონდა საცხოვრებლი ფართი და მიწის ნაკვეთი, 386 დაკანონების პროცესშია. **დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის პროგრამით (**მესამე და მომდევნო ბავშვი) თიანეთში, დაფინანსებულია 105 ბენეფიციარი (1.04,2021 წ. მდგომ.), 2016-2021 წლებში, სულ დაიხარჯა 1 088 600 ლარი, მათ შორის, 2020 წელს – 191 100 ლარი.

ახალი კორონავირუსის გლობალურ გამოწვევასთან სწრაფად და ეფექტიანად გამკლავების მიზნით, სოციალური დაცვის მიმართულებით გატარდა მნიშვნელოვანი ღონისძიებები, კერძოდ: სახელმწიფო გასაცემლების უწყვეტად გაცემა, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის იურიდიული ძალის შენარჩუნება და სოციალური პაკეტის უწყვეტად გაგრძელება, იანვრიდან შეჩერებული საარსებო შემწეობების განახლება და საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახებისთვის ფულადი დახმარების გაცემის უწყვეტობის უზრუნველყოფა და სხვ. **ახალი კორონავირუსით გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების გამო, მოსახლეობის სოციალური დახმარების მიზნით,** 2020-2021 წ.წ, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყო 193 014 865 ლარი, აქედან თიანეთის მუნიციპალიტეტზე გამოიყო 742 500 ლარი. **სახელმწიფო დახმარების მიღების უფლება 6 თვის ვადით მოიპოვეს:** სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებულმა (65001-100000 ქულა) ოჯახებმა, წევრთა რაოდენობის შესაბამისად **(1-წევრიანი – 70 ლ; 2-წევრიანი – 90 ლ; 3 და მეტი წევრი, თითოეულზე – 35 ლ).** პროგრამაში, 2020 წელს, თიანეთში, ჩართული იყო 449 ოჯახი, 2021 წელს – 480.

ყოველთვიური დახმარება (თვეში 100 ლარი) განისაზღვრა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული 100 000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახებისთვისაც, რომელთაც ჰყავთ 3 ან მეტი 16 წლის ჩათვლით ასაკის შვილი. პროგრამით, თიანეთში, 2020 წელს, ისარგებლა 87 ოჯახმა, 2021 წ.(ივნისის მონაცემებით) -94-მა. **მკვეთრად გამოხატული შშმ პირებისა და 18 წლამდე შშმ ბავშვებისთვის,** სოციალური პაკეტით დახმარებასთან ერთად, დამატებით გამოიყო 100 ლარი (6 თვით), მუნიციპალიტეტში, პროგრამაში, 2020 წ. ჩაერთო 111 პირი, 2021 წ. (ივნისის მდგომარეობით) – 111.

„ახალი კორონავირუსით (SARS-COV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) შედეგად მიყენებული ზიანის შემსუბუქების მიზნობრივი, სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 მაისის №286 დადგენილების თანახმად, სსიპ დასაქმების სახელწიფო სააგენტო განისაზღვრა პროგრამის ერთ-ერთ განმახორციელებლ უწყებად. სააგენტოს დაევალა კომპენსაციების გაცემა იმ დასაქმებულ/თვითდასაქმებულთათვის, ვინც პანდემიის შედეგად სამსახური ან შემოსავალი დაკარგა. **დაქირავებით დასაქმებულებისთვის კომპენსაციის ოდენობა თვეში 200 ლარი 6 თვით,** გაიცა ორ ეტაპად: I ეტაპი – 2020 წლის მაისიდან დაიწყო და 162 271-მა პირმა მიიღო 131 237 800 ლარი; II ეტაპი – 2021 წლის იანვრიდან 157 638-მა პირმა მიიღო 141 947 400 ლარი. არაფორმალური თვითდასაქმებულების იდენტიფიცირებისა და მათთის ერთჯერადი კომპენსაციების გაცემის მიზნით, შეიქმნა უწყებათაშორისი კომისია, ხოლო სააგენტომ შეასრულა კომისიის სამუშაო ჯგუფის ფუნქციები. **ერთჯერადი 300-ლარიანი კომპენსაცია** მიიღო 248 867-მა ფორმალურმა და არაფორმალურმა თვითდასაქმებულმა, ჯამში გადაირიცხა 74 660 000 ლარი. 2020 წლის 4 დეკემბრიდან დაიწყო ერთჯერადი, 300-ლარიანი კომპენსაციების გაცემის მეორე ტალღა იმ პირებისთვის, ვისაც შეეხო შეზღუდვები, დაკარგეს შემოსავალი ან შეუჩერდათ ეკონომიკური საქმიანობა – 121 634 პირზე ჯამში გადაირიცხა 36 490 200 ლარი.

დაქირავებით დასაქმებულებისთვის, რომლებმაც დაკარგეს სამსახური ან იყვნენ უხელფასო შვებულებაში, დაწესდა ფინანსური დახმარება 1200-ლარიანი კომპენსაციის სახით (6 თვე თვეში– 200-200 ლ). ახალი კორონავირუსით გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების გამო, მოსახლეობის სოციალური დახმარების მიზნით, 2020 წ. კომპენსაცია ჯამში მიიღო 162 271-მა ერთეულმა პირმა (131 237 800 ლ), 2021 წელს ჯამში გაიცა 141 909 200 ლარის კომპენსაცია.

მუნიციპალიტეტის მიერ სოციალური დაცვის სფეროში ხორციელდება ისეთი პროგრამები როგორიცაა მუნიციპალიტების მოსახლეობის სოციალური დახმარება, უფასო სასადილოს ხელშეწყობა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მგზავრთა გადაყვანის ხელშეწყობა.

ᲘᲜᲤᲠᲐᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲔᲑᲘ

2014-2020 წლებში, თიანეთის მუნიციპალიტეტში, განხორციელდა შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები: სოფელ ნაქალაქარში ამბულატორიის რემონტი – 21 336 ლ; დაბა თიანეთში, საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და სასწრაფო სამედიცინო დახმარების რაიონული სამსახურის ტიპური შენობის მშენებლობა – 248 835. დაგეგმილია ამბულატორიების მშენებლობა სოფლებში: ბოჭორმა, არტანი, სიმონიანთხევი, დაბა სიონი, ჩეკურაანთგორი. ახალსოფელი ხევსურთსოფელი, ღულელები, ზარიძეები, ტუშურები და ნაქალაქარი (თითოეულის ღირებულება 80 750 ლარი).

სამართლიანი, გამჭვირვალე და ეფექტიანი სოციალური დაცვის სისტემის ფუნქციონირების, სიღატაკის დაძლევისა და სიღარიბის შემცირების, მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესებისა და დასაქმების უზრუნველყოფის მიზნით:

- შეიქმნება მდგრადი, ეფექტიანი, კოორდინირებული სოციალური დაცვის სისტემის საკანონმდებლო გარანტიები;
- გაუმჯობესდება სოციალური დაცვის მექანიზმები, ყოველი მოქალაქის სხვადასხვა სოციალური რისკებისაგან დაცვის მიზნით;
- გაუმჯობესდება დასაქმებისა და სოციალური გასაცემლების სისტემა;
- გაიზრდება სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების ხარისხი და ხელმისაწვდომობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად;
- მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი ოჯახები კვლავ უზრუნველყოფილი იქნებიან საარსებო შემწეობით;
- გაგრძელდება მიზნობრივი ჯგუფებისათვის სოციალური პაკეტის გაცემა;
- გაგრძელდება დემოგრაფიული მდგომარეობის ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელება;
- გაიზრდება სოციალური დაცვის სახელმწიფო პროგრამების მიზნობრიობა და ეფექტიანობა ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობით;
- გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება;
- დაიხვეწება და გაფართოვდება სოციალური სფეროს მუნიციპალური პროგრამები.

ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ

**ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲣᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲔᲡᲘ ᲞᲠᲘᲝᲠᲘᲢᲔᲢᲘᲐ. 2012 ᲬᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲓᲐ ᲤᲣᲜᲓᲐᲛᲔᲜᲢᲣᲠᲘ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲣᲠᲘ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲘᲡᲐᲬᲕᲓᲝᲛᲝᲑᲘᲡ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲡᲐᲧᲝᲤᲐᲓ. ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ, ᲨᲔᲘᲥᲛᲜᲐ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲣᲠᲘ ᲛᲓᲒᲠᲐᲓᲝᲑᲘᲡ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲛᲧᲝᲤᲘ ᲡᲐᲙᲐᲜᲝᲜᲛᲓᲔᲑᲚᲝ �გᲐᲠᲐᲜᲢᲘᲔᲑᲘ, ᲓᲐᲘᲮᲕᲔᲬᲐ ᲐᲓᲠᲔᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲙᲝᲚᲐᲛᲓᲔᲚᲘ ᲐᲦᲖᲠᲓᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲛᲐᲠᲔᲒᲣᲚᲘᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲙᲐᲜᲝᲜᲛᲓᲔᲑᲚᲝᲑᲐ, ᲓᲐᲓᲒᲘᲜᲓᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲘᲜᲔᲠ�გᲐ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲔᲑᲘ.

ᲡᲡᲘᲞ ᲘᲚᲘᲐ ᲬᲘᲜᲐᲛᲫᲦᲕᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲙᲝᲚᲔᲯᲘᲡ ᲤᲘᲚᲘᲐᲚᲘ

განათლებისა და მეცნიერების სფეროში გადადგმული თითოეული ნაბიჯი გრძელვადიან პერსპექტივაზეა გათვლილი. ამის დასტურია ის, რომ **2012 წელთან შედარებით, მნიშვნელოვნად, 2,5-ჯერ გაიზარდა განათლებისა და მეცნიერების დაფინანსება. 4-ჯერ გაიზარდა სკოლამდელი განათლების, თითქმის 2-ჯერ – ზოგადი განათლების, 5,3-ჯერ – პროფესიული განათლების და 2-ჯერ – უმაღლესი განათლების ბიუჯეტი. მასწავლებლის საბაზო ხელფასის ზრდამ – 65%, ხოლო საშუალო ხელფასის – 120%-შეადგინა. 600 000-მდე მოსწავლე უზრუნველყოფილია სასკოლო სახელმძღვანელოებით.** 2019 წლის 1 ოქტომბრიდან დაიწყო საჯარო სკოლებისა და საბავშვო ბაღების პედაგოგთა ხელფასების ზრდა და ეს პროცესი მომდევნო წლებშიც გაგრძელდება.

2013-2020 წლებში, საქართველოში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა **მშენებლობა-რეაბლიტაციისა და აღჭურვის** მიზნით 427 მლნ 789,3 ათასი ლარი დაიხარჯა. მათ შორის, 2017-2020 წლებში – 289 მლნ 137,8 ათასი ლარი.

2012-2020 წ.წ. დასრულებულია 68 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა, ამ ეტაპზე მიმდინარეობს 4 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა, დასრულებულია 140-მდე სკოლის **სრული რეაბილიტაცია**, მათ შორის „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოსა“ და სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ სრულად რეაბილიტირდა 91 საჯარო სკოლა, ნაწილობრივ სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა 1300-ზე მეტ საჯარო სკოლის შენობას.

2017-2020 წლებში დასრულებულია 42 საჯარო სკოლის (მათ შორის, 19 მიკრეკონტინგენტიანი საჯარო სკოლა) სამშენებლო სამუშაოები და მიმდინარეობს 4 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა, ამასთან, მიმდინარე წელს იგეგმება დამატებით 2 ახალი სკოლის მშენებლობის დაწყება. დასრულებულია 83 სკოლის სრული რეაბილიტაცია, მათ შორის „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოსა“ და სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ სრულად რეაბილიტირდა 41 საჯარო სკოლა, ნაწილობრივ სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა 500-ზე მეტ საჯარო სკოლის შენობას;

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაფინანსებით, საჯარო სკოლებში ფუნქციონირებს **608 სამედიცინო** კაბინეტი (სკოლის ექიმი). საჯარო სკოლებში დასაქმებულია **145 ფსიქოლოგი**.

„ქართულმა ოცნებამ“ ფუნდამენტური ცვლილებები განახორციელა **პროფესიული განათლების** სისტემის განსავითარებლად. 2013 წლიდან დღემდე პროფესიული განათლების განვითარებისთვის სახელმწიფომ, ჯამში, 300 მილიონ ლარზე მეტი გამოყო, მათ შორის, პროფესიული კოლეჯების მშენებლობა/რეაბილიტაცია/აღჭურვის მიზნით დაიხარჯა 100 მლნ ლარზე მეტი. დაფუძნდა 8 ახალი პროფესიული დაწესებულება და არსებულ ქსელს დაემატა 16 ახალი ლოკაცია. ყველა სახელმწიფო კოლეჯს ჩაუტარდა სრული ან ნაწილობრივი რეაბილიტაცია, აშენდა 2 ახალი საერთო საცხოვრებელი. 10-ზე მეტ პროფესიულ დაწესებულებას ჩაუტარდა სრული რეაბილიტაცია, მათგან 4 კოლეჯში რეაბილიტაცია განხორციელდა უნივერსალური დიზაინის ნორვეგიული სტანდარტის შესაბამისად. 14 პროფესიულ დაწესებულებაში მოეწყო ინოვაციური ლაბორატორიები (FABLAB). 2021 წელს საკვალიფიკაციო ან/და მომზადება/გადამზადების პროგრამებზე სტუდენტს/მსმენელებს პირველად მიიღებენ ახლად განვითარებული კოლეჯები/ფილიალები კასპში, მარნეულში, დუშეთში, ჩოხატაურში (გორაბერეჟოული), ქედაში, ფოთსა და შუახევში. მიმდინარეობს დამატებით 5 პროფესიული დაწესებულების/ფილიალის სამშენებლო სამუშაოები, რომლებიც სამშენებლო და სატრანსპორტო მიმართულებებით საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის კადრებს მოამზადებენ. 2018 წელს დამტკიცდა ახალი კანონი „პროფესიული განათლების შესახებ“, რომელმაც შესაძლებელი გახადა ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან კიდევ უფრო მეტად დაახლოება. რეფორმის ფარგლებში, გაიზარდა ვაუჩერული დაფინანსება; ჩამოყალიბდა პროფესიული განათლების მართვის ახალი მოდელი, რომელიც კიდევ უფრო გააძლიერებს კერძო სექტორის ჩართულობას პროფესიულ განათლებაში; დაინერგა ინტეგრირებული პროგრამები, რომელთა გავლის შემდეგ საბაზო (9 კლასი) განათლების მქონე პირი სრული ზოგადი განათლების ატესტატთან გათანაბრებულ დიპლომს მიიღებს; შეიქმნა ზრდასრულთა მომზადება-გადამზადების შესაძლებლობა, რაც დააკმაყოფილებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს; გაძლიერდა ინკლუზიური პროფესიული განათლება და სხვ.

2012 წლის შემდეგ, 2,1-ჯერ, გაიზარდა **უმაღლესი განათლების** დაფინანსება. **უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისა და სტუდენტთა მხარდაჭერის მიზნით:** სახელმწიფო სასწავლო და სამაგისტრო გრანტებით ყოველწლიურად სრულად/ნაწილობრივ ფინანსდება 30 000-მდე სტუდენტი; გაიზარდა სოციალური პროგრამებისა და მაღალი აკადემიური მიღწევების მქონე სტუდენტთა მხარდაჭერის (სტიპენდიების) პროგრამის დაფინანსება; სოციალური პროგრამებით, ყოველწლიურად, ფინანსდებიან სტუდენტები უმაღლესი განათლების I-II საფეხურებზე (წლიური ბიუჯეტი 2 მლნ 725 ათასი ლარი); დაფინანსება გამოეყოფათ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებიც საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლას აგრძელებენ ერთიანი ეროვნული/სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე (წლიური ბიუჯეტი – 285 ათასი ლარი); სახელმწიფო აგრძელებს გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული სტუდენტების სწავლის დაფინანსებას (პროგრამის ბიუჯეტი – 5 მლნ ლარი); გაიცემა სახელმწიფო სტიპენდიები წარმატებული სტუდენტებისთვის (პროგრამის ბიუჯეტი – 4,7 მლნ ლარი); დაფინანსებას მოიპოვებენ სტუდენტები, რომლებიც ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული უმაღლესი განათლების აღიარების საფუძველზე სწავლას აგრძელებენ საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში (პროგრამის ბიუჯეტი – 20 ათასი ლარი); ყოველწლიურად ფინანსდება და, 2014-2019 წლებში, 800-ზე მეტი სასწავლო სტიპენდია გაიცა წარმატებული ახალგაზრდების მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში სწავლისათვის. 2016 წლიდან ამოქმედდა და სახელმწიფოს მიერ სრულად ფინანსდება მასწავლებლის მომზადების 60-კრედიტიანი პროგრამები. 2019 წლიდან ამოქმედდა სკოლის შემდგომი განათლებისათვის მომზადების პროგრამა. პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებით, დადგენილი წესის შესაბამისად, სარგებლობენ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პირები, რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გარეშე ირიცხებიან საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, სახელმწიფო აფინანსებს მათი სწავლის საფასურს. 2019 წლიდან მსჯავრდადებულებს, რომლებიც წარმატებით ჩააბარებენ ერთიან ეროვნულ/სამაგისტრო გამოცდებს, შესაძლებლობა აქვთ ისწავლონ შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამებზე.

2012 წლის შემდეგ, 80%-ით გაიზარდა სახელმწიფო ბიუჯეტით **მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების** ხელშეწყობის დაფინანსება. 2015 წლიდან სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების დაფინანსება 2-ჯერ, ხოლო მეცნიერთა ხელფასები, საშუალოდ, 3-ჯერ გაიზარდა. სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტებისათვის ამოქმედდა პროგრამული დაფინანსების მექანიზმი და სადღეისოდ ფინანსდება 47 კვლევითი ინსტიტუცია.

ᲡᲙᲝᲚᲐᲛᲓᲔᲚᲘ ᲐᲦᲖᲠᲓᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი საკუთარი უფლებამოსილება და პრიორიტეტია. თიანეთში ფუნქციონირებს მუნიციპალური სკოლამდელი აღზრდის 16 დაწესებულება (2 – დაბა თიანეთში, 1 – დაბა სიონში, 13 – სოფლად), სადაც 400 აღსაზრდელია.

2013 წლის შემდეგ საქართველოს მასშტაბით საბავშვო ბაღები გახდა უფასო.

თიანეთში გაიზარდა ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების დაფინანსება: 2020 წელს განათლების სფეროს ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდა 1 მლნ 540,7 ათასი ლარით განისაზღვრა, 2013 წელს კი შესაბამისი მაჩვენებელი 357,5 ათასი ლარი იყო.

2014-2021 წლებში ინფრასტრუქტურული პროექტების ფარგლებში განხორციელდა მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროექტები: რეგიონული ფონდიდან დაფინანსდა ხევსურთსოფლის (34 ათასი ლარი), დულუზაურების (66 378 ლარი), ახალსოფლის (143,9 ათასი ლარი), ჩაბანოს (88,9 ათასი ლარი), ნაქალაქარის (131,3 ათასი ლარი) საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია; დაბა სიონისა (213,2 ათასი ლარი) და ნადოკრის ახალი საბავშვო ბაღების მშენებლობა (123,4 ათასი ლარი).

2017-2018 წლებში, რეგიონული ფონდიდან დაფინანსდა თიანეთი №1 საბავშვო ბაღის (221 400 ლარი), ზემო არტანის საბავშვო ბაღის (103 888 ლარი), ახალსოფლის, ჩაბანოს, ნაქალაქარისა (131 267 ლარი) და ხევსურთსოფლის (437, 1 ათასი ლარი) საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია; სოფელ ტუშურებში აშენდა საბავშვო ბაღი – 271 333 ათასი ლარი; დასრულდა საყდრიონის საბავშვო ბაღის (121, 2 ათასი ლარი), ღულელების (156, 3 ათასი ლარი), ჟეობოტის (288, 9 ათასი ლარი) საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია. სოფელ სიმონიანთხევში აშენდა საბავშვო ბაღი, რომელშიც გაერთიანდა სოფ. თოლენჯის საბავშვო ბაღის კონტინგენტი (304 ათასი ლარი); დასრულდა დაბა თიანეთში №2 საბავშვო ბაღის მშენებლობა (467, 9 ათასი ლარი); **მიმდინარეობს:** სოფელ ზარიძეებისა და დაბა სიონის საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია (143, 3 ათასი ლარი).

შესრულებული სამუშაოების შედეგად, 2021 წელს, 2013 წელთან შედარებით, საბავშვო ბაღებში აღსაზრდელთა რაოდენობა 275-დან 400-მდე გაიზარდა. 1,18-დან 2,65 ლარამდე გაიზარდა მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებში **კვების თანხა** თითოეულ აღსაზრდელზე, გაფართოვდა და სრულფასოვანი გახდა ბავშვების კვების რაციონი.

სასკოლო მზაობის პროგრამა დანერგილია 16 საბავშვო ბაგა-ბაღის 16 ჯგუფში, სადაც 92 ბავშვია; სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში დასაქმებულია 51 აღმზრდელ-პედაგოგი, მათგან 23 – სასკოლო მზაობის ჯგუფებში. **სამედიცინო კაბინეტი** მოწყობილია 6 საბავშვო ბაღში, დასაქმებულია 2 ფსიქოლოგი და 3 სპეცმასწავლებელი.

ᲖᲝ�გᲐᲓᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ

მუნიციპალიტეტში 13 საჯარო სკოლაა (2 ქალაქში, 11 – სოფლად), სადაც

1 056 მოსწავლე და -235 მასწავლებელია, მათგან 7 სპეცმასწავლებელი. მულტიდისციპლინური გუნდის მიერ, 2021 წლის მაისის მდგომარეობით, იდენტიფიცირებულია 14 სსსმ მოსწავლე.

ზოგადი განათლების სფეროში. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განხორცილებული პროგრამებით თიანეთის მუნიციპალიტეტში: 2017-2020 წლებში, საზაფხულო სკოლების პროგრამაში, 77 მოსწავლე მონაწილეობდა; **წარჩინებულ მოსწავლეთა მედლების** ქვეპროგრამით, 2013-2016 წლებში, გამოვლინდა 8 ოქროსა და 20 ვერცხლის მედალოსანი, 2021 წელს – **7 ოქროს მედალოსანი.** 2017-2020 წლებში, სასწავლო ოლიმპიადებში მონაწილეობდა 322 მოსწავლე. **საჯარო სკოლის ტრანსპორტით უზრუნველყოფის** პროგრამით 9 საჯარო სკოლის (17 მიმართულება) 193 მოსწავლე სარგებლობს; თიანეთის 2 საჯარო სკოლაში ფუნქციონირებს **ექიმის კაბინეტი.** 2017-2020 წლებში, საჯარო სკოლებში უსასყიდლოდ დარიგდა 26 568 **სახელმძღვანელო, რვეული** და 446 **სასკოლო ჟურნალი;** პროგრამით **„ჩემი პირველი კომპიუტერი“** 298 პორტაბელური კომპიუტერი გადაეცა პირველკლასელებს, 33 – კლასის დამრიგებლებს და 16 – **წარჩინებულ მოსწავლეს.** 2017 წელს **ინფორმაციულ-საკომუნიკაციოტექნოლოგიებით** უზრუნველყოფილია: სოფელ სიმონიანთხევის საჯარო სკოლა – 4 კომპიუტერი; 2018 წელს **ოპტიკური კავშირით და მაღალსიჩქარიანი ინტერნეტით** უზრუნველყოფილია 6 საჯარო სკოლა; **რადიოტექნოლოგიითა და გაუმჯობესებული კავშირის სიჩქარით** უზრუნველსაყოფად განხორციელდა 26 პროექტი; **ლოკალური უსადენო ქსელით** უზრუნველყოფილია – 3 სკოლა; 2019 წელს **ახალი სკოლის მოდელით**, დაბა თიანეთის №1 საჯარო სკოლას გადაეცა 5 კომპიუტერი; **პროფესიული უნარების კურსები** დანერგილია 6 სკოლაში; **მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მიზნობრივი პროგრამებით** კონსულტანტ-მასწავლებლებმა, ადგილობრივმა და უცხოელმა მასწავლებლებმა გაიარეს ტრენინგ-მოდულები.

2013-2021 წლებში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამის ფარგლებში: სულ განხორციელდა საჯარო სკოლების ნაწილობრივი რეაბილიტაციის 43 პროექტი. სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა 2 სკოლას.

2013 წელს – ნაწილობრივი რეაბილიტაცია ჩაუტარდა 9 საჯარო სკოლას (ბოჭორმის, სიონის, თოლენჯის, თრანის, ზარიძეების, თიანეთის №2, ჟებოტის, ტუშურებისა და ღულელების საჯარო სკოლები), რაზეც სულ 331,7 ათასი ლარი დაიხარჯა; **2014 წელს** განხორციელდა დაბა თიანეთის საჯარო სკოლის ნაწილობრივი და ზარიძეების სკოლის სრული რეაბილიტაცია, ახალსოფლის საჯარო სკოლის გათბობის სისტემის რეაბილიტაცია და თიანეთის №1 სკოლის სამედიცინო ოთახის მოწყობა (სულ 659,2 ათასი ლარი); **2015 წელს –** 3 სკოლის (ახალსოფლის, ნაქალაქარისა და ტუშურების სკოლები) ნაწილობრივი რეაბილიტაცია, თიანეთის №2 სკოლაში სამედიცინო ოთახის მოწყობა და 2 საჯარო სკოლის (ხევსურთსოფლისა და სიმონიანთხევის სკოლები) გათბობის სისტემის რეაბილიტაცია (სულ 473,3 ათასი ლარით დაფინანსდა). სსიპ „ილია წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯის თიანეთის ფილიალის" სრულ რეაბილიტაციაზე 777,8 ათასი ლარი დაიხარჯა; **2016 წელს –** 9 საჯარო სკოლის სხვადასხვა ტიპის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე სულ 818,0 ათასი ლარი დაიხარჯა; სსიპ „ილია წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯის თიანეთის ფილიალში" უნარშეზღუდულთა ამწის მოწყობაზე 3,6 ათასი ლარი დაიხარჯა. თიანეთში 9 ადაპტირებული საჯარო სკოლაა, ცენტრალური გათბობით უზრუნველყოფილია 10 სკოლა;

2017-2021 წლებში – სოფელ ახალსოფლის საჯარო სკოლაში ლიტვურმა კომპანიამ დაამონტაჟა 10 კვტ სიმძლავრის მზის ბატარეები (12 ათასი ევრო), სიმონიანთხევის საჯარო სკოლაში მოეწყო სან.კვანძი (13, 5 ათასი ლარი) და გაიზარდა ელექტროენერგიის სიმძლავრე (6,6 ათასი ლარი); სოფელ გორანაში აშენდა მცირეკონტინგენტიანი საჯარო სკოლა (422, 6 ათასი ლარი); სოფელ ღულელებში რეაბილიტაცია ჩაუტარდა საჯარო სკოლის სპორტულ დარბაზს (24,7 ათასი ლარი); დაბა თიანეთში რეაბილიტაცია ჩაუტარდა და კეთილმოეწყო №1 საჯარო სკოლის ეზო (101,1 ათასი ლარი); ჩატარდა ხევსურთსოფლის სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოები (107, 3 ათასი ლარი); „ილია წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯის" სრული რეაბილიტაცია (752,4 ათასი ლარი); **2018 წელს –** ელექტროენერგიის სიმძლავრე გაიზარდა სოფელ სიმონიანთხევის (4 300 ლარი) და ბოჭორმის (4 300 ლარი)სკოლებში. **2019 წელს** – ჟებოტის, დაბა თიანეთის №1, დაბა სიონის, დაბა თიანეთის №2 საჯარო სკოლებში განხორციელდა ელექტროენერგიის სიმძლავრის გაზრდისა და სხვადასხვა სამუშაოები. ტუშურებისა და ახალსოფლის სკოლებში მოეწყო ხელოვნურსაფარიანი მინიმოედნები, ხოლო ნაქალაქარში, ღულელებში და ჟებოტაში არსებულს ჩაუტარდა რეაბილიტაცია.

2019 წელს დაიწყო და წელსაც გრძელდება მუნიციპალიტეტის 13 სკოლის (ზარიძეების, ტუშურების, დაბის №1 და №2, ჟებოტის, ახალსოფლის, სიმონიანთხევის, თოლენჯის დაწყებითი, ღულელების, ხევსურთსოფლის, ნაქალაქარის, სიონის, ბოჭორმის) სარეაბილიტაციო სამუშაოები (დარჩენილია 586 ათასამდე ლარის სამუშაოები); **2020 წელს –** დასრულდა ტოლაანთსოფლის დაწყებითი სკოლის რეაბილიტაცია (565 ათასი ლარი); განხორციელდა დაბა თიანეთის №2 საჯარო სკოლის, სოფელ ტუშურების, ღულელების, ჟებოტის, ხევსურთსოფლისა და ნაქალაქარის საჯარო სკოლების რეაბილიტაცია; ხევსურთსოფლის საჯარო სკოლაში მოეწყო სამედიცინო ოთახი; გორანაში აშენდა დაწყებითი სკოლა (ირიცხება 11 მოსწავლე). ოპერირებისა და მოვლა-პატრონობის პროგრამა ხორციელდება 1 სკოლაში.

2019 წელს, სკოლების სახელმწიფო პროგრამით ხელოვნურსაფარიანი სტადიონი მოეწყო ახალსოფლისა (78 891 ათასი ლარი) და ტუშურების (83 288 ლარი) საჯარო სკოლებში, განხორციელდა ხელოვნურსაფარიანი სტადიონების რეაბილიტაცია ჟებოტისა (95 079 ათასი ლარი) და ღულელების (48 796 ათასი ლარი) საჯარო სკოლებში.

პროფესიული განათლება

2017 წელს, თიანეთში, დაფუძნდა პროფესიული-საგანმანათლებლო დაწესებულება სსიპ **„ილია წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯის“ ფილიალი.**

კოლეჯში ხორციელდება 17 პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამა. თიანეთის ფილიალში, მოდულურ პროგრამებთან ერთად, დანერგილია დუალური საგანმანათლებლო პროგრამები მეხილეობისა და რძის პროდუქტების წარმოების მიმართულებით;

2020 წლიდან კოლეჯმა მოიპოვა ისეთი ტიპის პროფესიული პროგრამის განხორციელების უფლება, რომლის დასრულების შემდეგაც **გაიცემა სრული ზოგადი განათლების ატესტატთან გათანაბრებული დიპლომი.** ამ ტიპის პროგრამები საბაზო (9 კლასი) განათლების მქონე სტუდენტებს კომპლექსურად განუვითარებს, როგორც პროფესიულ, ასევე ზოგად უნარებს. კოლეჯის თიანეთის ფილიალში დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობა აქვთ, ისწავლონ მეხილეობის ინტეგრირებულ პროფესიულ პროგრამაზე. 2020 წელს აღნიშნულ პროგრამაზე 5 პირი ჩაირიცხა.

საჯარო სკოლის მოსწავლეებში პროფესიული უნარების განვითარების მიზნით, 2019 წელს დაიწყო კურსების განხორციელება მუნიციპალიტეტის 5 საჯარო სკოლაში. სხვადასხვა პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამებზე ამ დროისთვის დაახლოებით 80 სტუდენტი ირიცხება. საჯარო მმართველობის კურსი დაამთავრა 15-მა სტუდენტმა.

ინფრასტრუქტურული პროექტების ფარგლებში განხორციელდა სსიპ „ილია წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯის“ ფილიალის სარეაბილიტაციო სამუშაოები (4,7 ათასი ლარი);

მეხილეობის, რძის პროდუქტების წარმოების, ბუღალტრული აღრიცხვისა და ინფორმაციის ტექნოლოგიის პროგრამების განხოციელების მიზნით აღჭურვილობის შეძენა 60,7 ათასი ლარით დაფინანსდა.

ზრდასრული მოსახლეობის უნარების განახლებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით, მუნიციპალიტეტში შეიქმნა ზრდასრულთა მოკლევადიანი პროფესიული მომზადება-გადამზადების შესაძლებლობა. 2021 წლის მდგომარეობით, თიანეთის მუნიციპალიტეტში, პროფესიული მომზადება/გადამზადების 2 პროგრამა ხელმისაწვდომია 2 დაწესებულებაში.

უმაღლესი განათლება

უმაღლესი განათლების ხელშეწყობის მიზნით, 2018 წლიდან **სოციალური პროგრამით დაფინანსება მოიცავს მცხეთა-მთიანეთის რეგიონს** (დუშეთი, თიანეთი, მცხეთა და ყაზბეგი) მაღალმთიანი სტატუსის მქონე სოფლების სკოლის კურსდამთავრებულებს, 2018-2019 ს/წელს მცხეთა მთიანეთის რეგიონიდან დაფინანსდა 14 სტუდენტი. 2019-2020 ს/წელს – 14, 2020-2021 ს/წელს – 14.

„ქართული ოცნების“ უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტების – განათლებისა და მეცნიერების მიმართულებით განხორციელდება:

- დაწესებულებებში ადრეული და სკოლამდელი განათლება დარჩება უფასო; გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაფინანსება;
- **2020-2021 წლებში განხორციელდება:** სოფელ ნაქალაქარის საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია – 47,5 ათასი ლარი; ხევსურთსოფლის საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია – 76 ათასი ლარი; ხევსურთსოფლის საბავშვო ბაღის მშენებლობა – 550 ათასი ლარი; ზარიძეების საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია – 150 ათასი ლარი; დაბა თიანეთის №1 საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია და ეზოს კეთილმოწყობა – 66,5 ათასი ლარი; ჟებოტის, სიმონიანთხევის, ღულელების საბავშვო ბაღების ეზოების კეთილმოწყობა – 66, 5 ათასი ლარი.
- 2021-2025 წლებში იგეგმება: სოფ. ზარიძეების საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია, დ. სიონის საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია, სოფ. ჯიჯეთის საბავშვო ბაღის მშენებლობა თიანეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების ეზოების კეთილმოწყობა, სოფ. ხევსურთსოფლის საბავშვო ბაღის მშენებლობა.
- გაგრძელდება სკოლამდელი აღზდისა და განათლების სახელმწიფო სტანდრატების დანერგვა და ყველასათვის ხელმისაწვდომის სკოლამდელი განათლების მომსახურების მიწოდება.
- უწყვეტად გაგრძელდება სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების მოდერნიზება, რაც უზრუნველყოფს ბავშვისთვის სკოლაში საჭირო მრავალმხრივი – აკადემიური, ფუნქციური, ქცევითი, ემოციური და სოციალური უნარების განვითარებას; განხორციელდება ღონისძიებები სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებზე მორგებული განათლების მომსახურების უზრუნველსაყოფად;
- მნიშვნელოვნად გაიზრდება ზოგადი განათლების საბიუჯეტო დაფინანსება, გაიზრდება მასწავლებელთა და სკოლის ადმინისტრაციული პერსონალის შრომის ანაზღაურება;
- დამტკიცდება და დაინერგება ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის განახლებული სტანდარტები და პროცედურები, განხორციელდება მხარდამჭერი ღონისძიებები სტანდარტების დასაკმაყოფილებლად;
- გაგრძელდება მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების ყველა კლასის მოსწავლეების, კერძო სკოლის სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახებისა და მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული სხვა კატეგორიების მოსწავლეების სასკოლო სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა;
- დაგეგმილია თიანეთის მუნიციპალიტეტის დაბა თიანეთის №2, სოფელ ჟებოტის, ზარიძეების, ახალსოფლის, ტუშურების, დაბა სიონის, ხევსურთსოფლის, სიმონიანთხევის, სიმონიანთხევის (თოლენჯის დაწყებითი), ღულელების, დაბა თიანეთის №1, ნაქალაქარის, ბოჭორმის საჯარო სკოლების ნაწილობრივი რეაბილიტაცია – MCC მოვლა-პატრონობა;
- გაიზრდება პროფესიული საგანმანათლებლო და მომზადება-გადამზადების პროგრამების ხელმისაწვდომობა, შემუშავდება პროფესიული განათლების მიღმა მყოფი მოწყვლადი ჯგუფების იდენტიფიკაციისა და პროფესიულ განათლებაში ჩართვის მექანიზმები;
- პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, დაინერგება კვალიფიკაციების ახალი ჩარჩო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა ავტორიზაციის ახალი სტანდარტები და პროცედურები, კრედიტების ახალი სისტემა და კერძო სექტორის მიერ/მონაწილეობით პროფესიული სტანდარტების შემუშავების წესი;
- ამოქმედდება პროფესიული განათლების მასწავლებლის შედეგებზე ორიენტირებული შრომის ანაზღაურების ახალი სქემა;
- გაიზრდება უმაღლესი განათლების საბიუჯეტო დაფინანსება, შემუშავდება უმაღლესი განათლების სისტემის დაფინანსების ახალი მოდელი, რომელიც ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო დაწესებულების მდგრად განვითარებასა და სასწავლო პროცესის სწავლის შედეგებზე ორიენტირებას;
- განხორციელდება უმაღლესი განათლების ხარისხის განვითარების მხარდამჭერი ღონისძიებები;
- შემუშავდება და დამტკიცდება საქართველოში მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების სტრატეგიული გეგმა, რომლის მთავარი მიზანი იქნება ქვეყნის ეკონომიკის სტრატეგიული განვითარების მოთხოვნებსა და საზოგადოების საჭიროებებზე ორიენტირებული ინსტიტუციების განვითარების ხელშეწყობა.

ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲐ, ᲡᲞᲝᲠᲢᲘ ᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲣᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

„ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲨᲘ ᲛᲝᲡᲕᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, 2012 ᲬᲚᲘᲡ ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲓᲐᲜ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲛᲐ ᲛᲘᲐᲦᲬᲘᲐ ᲐᲠᲡᲔᲑᲘᲗ ᲬᲘᲜᲘᲡᲕᲚᲐᲡ, ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲣᲚᲐᲓ, ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲗ. ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ ᲔᲥᲪᲔᲕᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲡ, ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲛᲔᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲕᲚᲐ-ᲞᲐᲢᲠᲝᲜᲝᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲦᲓᲒᲔᲜᲐ-ᲠᲔᲡᲢᲐᲕᲠᲐᲪᲘᲐᲡ, ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲯᲐᲜᲡᲐᲦᲘ ᲬᲔᲡᲘᲡ ᲓᲐᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲑᲐᲡ. ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲣᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡ ᲡᲢᲠᲐᲢᲔ�გᲘᲣᲚᲘ ᲛᲘᲖᲜᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲐᲡ.

ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲐ

თიანეთში ფუნქციონირებს მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული შემდეგი დაწესებულებები: თიანეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, თიანეთის მირზა გელოვანის სახლ-მუზეუმი, მთავარი ბიბლიოთეკა, 16 სასოფლო ბიბლიოთეკა (ახალსოფელი, არტანი, ალოტი, ტუშურები, ლელოვანი, ბოჭორმა, ხევსოფელი, ზარიძეები, სიმონიანთხევი, ჩეკურაანთგორა, ნაქალაქარი, ლიშო, მაგრანეთი, სიონი, ჟებოტა, ღულელები) და ა(ა)იპ თიანეთის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი. ანსამბლი „აონი“.

2013 წელთან შედარებით, **გაიზარდა კულტურის სფეროს დაფინანსება.** 2013 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით კულტურის სფეროს ხარჯები განისაზღვრა 270,3 ათასი ლარით, 2020 წელს კი შესაბამისი მაჩვენებელი 1 მლნ 347,5 ლარი იყო.

2014-2021 წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა საზოგადოების ჩართულობა კულტურულ ცხოვრებაში: იმართებოდა სახალხო დღესასწაული „თიანეთობა“, ტარდებოდა კონცერტები, კონკურსები და სხვადასხვა კულტურული ღონისძიება.

2014-2021 წლებში განხორციელდა კულტურის ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროექტები: დაბა თიანეთში მუსიკალური სკოლის შენობის გადახურვა, ნიკო ქუმსიაშვილის სახელობის სამუსიკო სკოლის ოთახებისა და ცენტრალური ბიბლიოთეკის შენობის რეაბილიტაცია, რაზეც სულ 31,1 ათასი ლარი დაიხარჯა. განხორციელდა ნ. ქუმსიაშვილის სახელობის თიანეთის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლის შენობა-ნაგებობის და მიმდებარე ტერიტორიის რემონტი – 4, 9 ათასი ლარი; თიანეთის კულტურის სახლის (სცენის) სარემონტო სარეაბილტაციო სამუშაოები – 90, 4 ათასი ლარი; დაბა თიანეთის კულტურის სახლის დარჩენილი სარეაბილიტაციო სამუშაოები – 434, 7 ათასი ლარი;

2017-2020 წლებში განხორციელდა დაბა თიანეთის კულტურის სახლის სრული სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები – **1, 7 მლნ ლარი;**

2023 წელს – დაგეგმილია, დაბა სიონში, კორტების მიმდებარე ტერიტორიაზე ღია ესტრადის მოწყობა 150 ათასი ლარი;

2020 წელი – სოფელ დულუზაურები, დულუზაურების კომპლექსის გაწმენდითი სამუშაოები.

მიზნობრივი პროგრამების ფარგლებში კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ მუნიციპალიტეტში შემდეგი პროექტები განახორციელა: თიანეთის მუნიციპალიტეტის კულტურისა და დასვენების პარკის რეაბილიტაცია (200 ათასი ლარი), მირზა გელოვანის სახლ-მუზეუმის რეაბილიტაცია (118,1 ათასი ლარი), და გათბობა-კონდიცირების სისტემების მოწყობა (5,2 ათასი ლარი), მირზა გელოვანის სახლ-მუზეუმის სარესტავრაციო სამუშაოების II ეტაპი (63,3 ათასი ლარი), მირზა გელოვანის სახლ-მუზეუმის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა (17,5 ათასი ლარი).

მუნიციპალიტეტში საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ, 2020 წელს, სოფელ დულუზაურებში დასრულდა არხალის სამონასტრო კომპლექსის ეკლესიისა და მიმდებარე ტერიტორიის მოსამზადებელი, გაწმენდითი სამუშაოები – 43 999 ლარი;

ᲡᲞᲝᲠᲢᲘ

თიანეთის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული თიანეთის ა(ა)იპ სპორტული კლუბი „თიანეთი“.

2013 წელთან შედარებით, **გაიზარდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სპორტის სფეროს დაფინანსება.** 2020 წლის ბიუჯეტით სპორტის ხარჯები 204,5 ათასი ლარით განისაზღვრა, 2013 წლის შესაბამისი ხარჯი კი 107,4 ათასი ლარი იყო;

მუნიციპალიტეტის სპორტის პრიორიტეტული სახეობებია: ქართული ჭიდაობა, ძიუდო, ფეხბურთი, ტაეკვონდო, ჭადრაკი, რაგბი და ფრენბურთი.

2018-2021 წლები – ჩატარდა ყოველწლიური ღონისძიებები, რომლებიც მიეძღვნა ევროპის სპორტის კვირეულსა და საერთაშორისო დღეს – „სპორტი მშვიდობის და განვითარებისთვის“;

2013-2021 წლებში, თიანეთის მუნიციპალიტეტში, ინფრასტრუქტურული პროექტების ფარგლებში:

2013 წელს – განხორციელდა დაბა თიანეთის სპორტული დარბაზის რეაბილიტაცია, რაც 34,8 ათასი ლარით დაფინანსდა;

2017 წელს – დაბა თიანეთის სპორტული კლუბის შენობის რეაბილიტაციაზე რეგიონული განვითარების ფონდიდან 123 ათასი ლარი დაიხარჯა;

2019 წელს მოეწყო მინისტადიონები: ახალსოფლის სკოლის მიმდებარედ (67,1 ათასი ლარი), ტუშურების სკოლის მიმდებარედ (73,3 ათასი ლარი); ჟებოტის სკოლის მიმდებარედ (82,3 ათასი ლარი); ღულელების სკოლის მიმდებარედ (46,4 ათასი ლარი);

2013-2016 წლებში, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსთან შეთანხმებით, სპორტულმა ფედერაციებმა მუნიციპალიტეტში 6 შიდაჩემპიონატი (65,5 ათასი ლარი) ჩაატარეს. სამინისტრომ 1 ქუჩის სავარჯიშო მოწყობილობის მშენებლობა დააფინანსა (13,5 ათასი ლარი) და თიანეთის მუნიციპალიტეტისთვის სხვადასხვა მცირეფასიანი ინვენტარიც შეიძინა (3,1 ათასი ლარი).

2017-2021 წლებში, თიანეთის მუნიციპალიტეტში, მოეწყო სხვადასხვა სახის სპორტული შეჯიბრება: რაიონული ტურნირები ჭიდაობაში, ფრენბურთში, ტაეკვანდოსა და ფეხბურთში. თიანეთის სპორტული კლუბის სპორტსმენებმა მონაწილება მიიღეს ქვეყნის მასშტაბით გამართულ სპორტულ შეჯიბრებებში.

საქართველოს კულტური, სპორტისა ახალგაზრდობის სამინისტროს „მაღალმთიან დასახლებებში სპორტის სფეროში დასაქმებული **მწვრთნელების მხარდაჭერის პროგრამის** ფარგლებში, თიანეთის მუნიციპალიტეტში დასაქმებული **15 მწვრთნელი იღებს ფულად დანამატს.** აღნიშნული პროგრამა ხელს უწყობს ადგილზე მწვრთნელების დამაგრებას და სხვა პირების მაღალმთიან რეგიონში მწვრთნელად მუშაობის მოტივაციის ზრდას.

ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲣᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

ახალგაზრდული მიმართულებებით სამინისტრომ მუნიციპალიტეტში სხვადასხვა სახის პროექტი განახორციელა: მოხალისეობის განვითარების პროგრამა (რეგიონის მასშტაბით 2-2 ახალგაზრდა ყველა მუნიციპალიტეტიდან); „საქართველოს თასი ლაშქრობაში“, მონაწილეობა მიიღეს 18-დან 29 წლამდე ასაკის ახალგაზრდებმა საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტიდან; ასევე საქართველოს მუნიციპალიტეტებში ახალგაზრდობაზე პასუხისმგებელ პირთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგები.

სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის მხარდაჭერით, **მუნიციპალიტეტში ახალგაზრდობის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციამ – ა(ა)იპ „თიანეთის ახალგაზრდები“,** განახორციელა პროექტი „თიანეთის მომავალი“, რომელიც 18,8 ათასი ლარით დაფინანსდა. პროექტის მიზანი იყო კომუნიკაციის საშუალებების ზრდა, მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ განხორციელებული პროექტების მოსახლეობამდე, ყველაზე შორეულ სოფლამდე მიტანა, ახალგაზრდა ადგილობრივი პოეტების, მწერლების შემოქმედების უკეთ გასაცნობად, მათ მიერ შექმნილი ნაწარმოებების მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გამოქვეყნება.

2020 წელს ჩატარდა თიანეთში მცხოვრები **ახალგაზრდების საჭიროების კვლევა.** კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, 2021 წლის პირველ კვარტალში, სამოქალაქო სექტორის ჩართულობით, შეიქმნა **თიანეთის ახალგაზრდული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა.**

გადამზადდა თიანეთის მერიის ახალგაზრდულ სამსახურში მომუშავე 2 თანამშრომელი; **სტრასბურგში,** საერთაშორისო სემინარზე გაემგზავრა თიანეთის ახალგაზრდული სამსახურის 1 და თიანეთში მომუშავე ახალგაზრდული ორგანიზაციის 1 წარმომადგენელი;

თიანეთის მუნიციპალიტეტში მოეწყო სივრცე ახალგაზრდებისათვის შეხვედრებისა და ღონისძიებების გასამართად;

2025 წლამდე კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდული მიმართულებებით თიანეთის მუნიციპალიტეტში შემდეგი ღონისძიებები გატარდება:

- უზრუნველყოფილი იქნება კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროში მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ინსტიტუციების ეფექტიანი და შედეგებზე ორიენტირებული საქმიანობა;
- გაიზრდება კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროების დაფინანსება;
- გაიზრდება კულტურის ხელმისაწ-

41 ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲐ – ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

მირზა გელოვანის სახლ-მუზეუმი

ვდომობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის;

- ხელი შეეწყობა სახელოვნებო განათლების განვითარებას;
- განხორციელდება კულტურული ცხოვრების ხელშემწყობი და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვა-რეაბილიტაციის ღონისძიებები;
- დაგეგმილია სამუსიკო სკოლის შენობის სრული რეაბილიტაცია – 150 ათასი ლარი;
- დაგეგმილია დაბა თიანეთში ვაჟა-ფშაველას სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში („კუჟბაღი") ახალი კულტურული და სპორტული ინფრასტრუქტურული მოედნების მოწყობა-რეაბილიტაცია – 220 ათასი ლარი.
- დაგეგმილია სოფელ ზემო არტანში ახალგაზრდული ცენტრის შენობის რეაბილიტაცია – 55 ათასი ლარი;
- დაგეგმილია ჟალეთის ტაძრის, ბოჭორმის ციხე-კომპლექსისა და დულუზაურების კომპლექსის რეაბილიტაცია;
- დაგეგმილია ბოჭორმის ციხის პროექტირება-რეაბილიტაცია – 350 ათასი ლარი;
- გაგრძელდება სპორტის მასობრივი და მაღალი მიღწევების მქონე სახეობების განვითარება;
- ხელი შეეწყობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში სპორტის პრიორიტეტულ სახეობათა პოპულარიზაციას;
- ნიჭიერი ბავშვებისა და ახალგაზრდების სპორტული შესაძლებლობების გამოსავლენად მუნიციპალიტეტი განაგრძობს წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობასა და მათთვის შესაბამისი პირობების შექმნას;
- გაგრძელდება სპორტული ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაცია;
- დაგეგმილია სოფ. ბოჭორმის, სოფ. გორანის, სოფ. სიმონიანთხევის, სოფ. ნაქალაქრის და დაბა თიანეთში სპორტული მოედნების მოწყობა;
- 2022 წელს დაგეგმილია დაბა თიანეთში ცხრა აპრილის ქ. №8-ში მდებარე მრავალსართულიანი კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე მრავალფუნქციური ხელოვნურსაფრიანი სპორტული მოედნის მოწყობა – 60 ათასი ლარი;
- სოფელ სიმონიანთხევში ხელოვნურსაფარიანი სპორტული მოედნის მოწყობა – 73 ათასი ლარი;
- დაგეგმილია სოფ. ხევსურთსოფლის სპორტული დარბაზის რეაბილიტაცია – 60 ათასი ლარი;
- ხელი შეეწყობა მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობაში ახალგაზრდების ჩართვასა და მათ მიერ ინიცირებული პროექტების განხორციელებას;
- 2023 წელს იგეგმება სოფელ არტანში ახალგაზრდული ცენტრის შენობის რეაბილიტაცია – 80 ათასი ლარი;
- სოფლის ახალგაზრდული ცენტრისათვის სოფ. ჟებოტაში ყოფილი ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაცია – 250 ათასი ლარი;
- განხორციელდება სპორტული ცხოვრების განვითარებისა და ახალგაზრდობის ეფექტიანი პოლიტიკის გატარების ხელშემწყობი პროექტები.

მართლწესრიგი

დანაშაულის სტატისტიკა

2017-2020 წლებში, თიანეთის მუნიციპალიტეტში, მძიმე დანაშაულის (იმ **5** სახეობის – მკვლელობა, ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, გაუპატიურება, ძარცვა, ყაჩაღობა, რაც არსებითად განსაზღვრავს კრიმინოგენური მდგომარეობის სურათს, მიხედვით) სტატისტიკა მოყვანილია ცხრილში:

ცხ. 1 თიანეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მძიმე დანაშაული 2017-2020 წწ.

მძიმე დანაშაული სახეობათა მიხედვით	2017 წ	2018 წ	2019 წ	2020 წ
განზრახ მკვლელობა (სსკ-ს 108-ე-109-ე მუხლები)	3	0	1	0
მათ შორის, გახსნილი	3	0	1	0
მძიმე დანაშაული ჯანმრთელობის წინააღმდეგ (სსკ-ს 117-ე მუხლი, ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება)	0	0	0	0
მათ შორის, გახსნილი	0	0	0	0
გაუპატიურება (სსკ-ს137-ე მუხლი)	0	0	0	3
მათ შორის, გახსნილი	0	0	0	2
ძარცვა (სსკ-ს 178-ე მუხლი)	0	0	1	0
მათ შორის, გახსნილი	0	0	1	0
ყაჩაღობა (სსკ-ს 179-ე მუხლი)	0	0	0	0
მათ შორის, გახსნილი	0	0	0	0
სულ	3	0	2	3
მათ შორის გახსნილი	3	0	2	2

ცხ.2 პრობაციონერთა სტატისტიკა თიანეთის მუნიციპალიტეტში

პრობაციონერთა სტატისტიკა	2017 წ	2018 წ	2019 წ	2020 წ
მოქმედ პრობაციონერთა საერთო რაოდენობა	35	27	47	51
არასრულწლოვან მოქმედ პრობაციონერთა რაოდენობა	0	0	0	0
დანაშაულის რეციდივის შემთხვევები	1(2,9%)	(11, 1%)	4(8,5%)	4(7,8%)
სოციალური რეაბილიტაციის პროგრამაში მონაწილე პრობაციონერთა რაოდენობა	0	0	0	1
პრობაციის ეროვნული სააგენტოს ინიციატივითა და ხელშეწყობით დასაქმებულ მსჯავრდებულთა რაოდენობა	1	2	2	1

მძიმე დანაშაულის სტატისტიკა მოწმობს, რომ თიანეთის მუნიციპალიტეტში, 2017-2020 წლებში, კრიმინოგენური მდგომარეობა სტაბილურია: ამ წლებში მთლიანად რეგისტრირებულია კრიმინოგენური მდგომარეობის სურათის განმსაზღვრელ სახეობათა დანაშაულების სულ 8 შემთხვევა, რომელთაგან გახსნილია – 7 ანუ 87,5%, რაც გახსნის მაღალი მაჩვენებელია. სტატისტიკით დასტურდება, რომ მძიმე დანაშაულის რეგისტრირებული შემთხვევები მუნიციპალიტეტში იშვიათია, ყოველწლიურად 2-3 შემთხვევის ფარგლებშია, ხოლო მათი არსებითი ზრდა წლების მიხედვით არ შეინიშნება.

საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის ეფექტიანი სისტემის უზრუნველყოფისთვის **შინაგან საქმეთა სამინისტროს** შემდგომი განვითარება გაგრძელდება **„სისტემური განახლების"** კონცეფციის შესაბამისად. უმნიშვნელოვანესია, რომ გაღრმავდება **კრიმინალური პოლიციის რეფორმა;** კერძოდ, კრიმინალურ პოლიციაში დასრულდება საუბნო მიმართულების ეტაპობრივი ჩანაცვლება საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობის მოდელით. განვითარდება თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი **მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტი,** რომლის უმთავრესი ამოცანა იქნება დანაშაულის პრევენციაზე მუშაობა.

პრობაციონერთა სტატისტიკა

2016-2019 წლებში, თიანეთის მუნიციპალიტეტში, პრობაციონერთა სტატისტიკა მოყვანილია ცხ.2 -ში.

სტატისტიკა მოწმობს, რომ საანგარიშგებო პერიოდში (2017-2020 წ.წ.) მოქმედ პრობაციონერთა რაოდენობა, წინა წლებთან შედარებით, დასტაბილურდა და მნიშვნელოვნად აღარ იზრდება. განმეორებით ჩადენილი დანაშაულის შემთხვევები პროცენტულად მაღალი არ არის და წლების მიხედვით 10%-ის ფარგლებში მერყეობს.

2017-2020 წლებში, პრობაციის სააგენტოს ინიციატივითა და ხელშეწყობით, მუნიციპალიტეტში 6 პრობაციონერი დასაქმდა. მიუხედავად პანდემიისა, მოხერხდა და 2020 წელს სოციალური რეაბილიტაციის პროგრამაში ერთი პრობაციონერი მონაწილეობდა;

სამომავლოდ სააგენტო გეგმავს პანდემიის გამოწვევის მიუხედავად, უსაფრთხოების ზომების გათვალისწინებით გააფართოვოს და ეფექტიანად განახორციელოს ეს პროგრამა; აგრეთვე განზრახულია მსჯავრდებულთა უფრო აქტიური ხელშეწყობა მათი მუნიციპალიტეტში დასასაქმებლად.

თიანეთის იუსტიციის სახლი

2015 წლის 26 ოქტომბრიდან, დაბა თიანეთში, შეუფერხებლად მუშაობს იუსტიციის სახლი, რომელიც მოსახლეობას უკვე 450-მდე სახის მომსახურეობას უწევს;

იუსტიციის სახლის გახსნის შემდგომ, თიანეთის მუნიციპალიტეტის ყოველ მოქალაქეს თუ სტუმარს შესაძლებლობა ეძლევა მისთვის კომფორტულ გარემოში, ერთ შენობაში, ზედმეტი დროის ხარჯვის გარეშე და მაქსიმალურად ხელსაყრელ პირობებში, მიიღოს ისეთი მნიშვნელოვანი და აუცილებელი დოკუმენტები, როგორებიცაა მაგ. დაბადებისა და პირადობის მოწმობა, პასპორტი თუ ქორწინების მოწმობა, ამონაწერი საჯარო თუ სამეწარმეო რეესტრიდან; სწრაფად და მოხერხებულად, ზედმეტი ბიურიკრატიული ბარიერების გარეშე დაარეგისტრიროს უძრავ ნივთზე საკუთრება, განახორციელოს სამეწარმეო თუ არასამეწარმეო იურიდიული პირის რეგისტრაცია და სხვ. უნდა აღინიშნოს, რომ იუსტიციის სახლის მომსახურეობით კმაყოფილების ხარისხი, ჩატარებული კვლევების შესაბამისად – 92%-ს აღწევს, რაც საჯარო მომსახურეობის სფეროში ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მაჩვენებელია.

თიანეთის იუსტიციის სახლი სამომავლოდაც განაგრძობს მაღალი ხარისხით მომსახურეობას და იზრუნებს, რათა კიდევ უფრო მეტად გაფართოვდეს მოქალაქეებისათვის შეთავაზებული სერვისები, ხოლო მათ მისაღებად, უფრო მოსახერხებელი და კომფორტული გარემო შეიქმნას.

ჩემო ძვირფასებო!

ამაყი ვარ, რომ წილად მხვდა პატივი, წარდგენილი ვიყო თიანეთის მუნიციპალიტეტის მერობის კანდიდატად.

ჩემს მშობლიურ მხარეს კარგად ვიცნობ და ისიც ვიცი, „ქართული ოცნების“ ძლიერი გუნდის მხარდაჭერით, ცენტრალურ ხელისუფლებასთან აქტიური კოორდინაციით, როგორ გადავჭრა ჩემი ხალხის წინაშე არსებული პრობლემები და გამოწვევები.

ამ გზაზე, რა თქმა უნდა, თქვენი მხარდაჭერის იმედი მაქვს, რათა: განვავითაროთ და ავაღორძინოთ სოფელი, სოფლის განვითარების სახელმწიფო თუ სხვა საგრანტო პროგრამები კი ყველასთვის ხელმისაწვდომი გავხადოთ; შევძლოთ სასმელი წყლის სათავე ნაგებობების, ქსელის მოწყობა და რეაბილიტაცია, რითაც საბოლოოდ გადაწყდება ჩვენი მუნიციპალიტეტის სოფლებსა და დაბაში წყალმომარაგების პრობლემა; განვახორციელოთ რაც შეიძლება მეტი ინფრასტრუქტურული პროექტი, მოვაწყოთ როგორც ცენტრალური საავტომობილო, ისე სოფლის შიდაგზები და გარეგანათება; ასევე, მოვაწყოთ ხიდები, სახიდე გადასასვლელები და მდინარეების ნაპირსამაგრები; აქტიურად წარვმართოთ მუნიციპალიტეტის სოფლების გაზიფიკაციისა და ინტერნეტიზაციის პროცესი; ხელი შევუწყოთ მცირე ბიზნესის განვითარებას და შევქმნათ რაც შეიძლება მეტი სამუშაო ადგილი; სახელმწიფო თუ სხვა საგრანტო პროგრამების დახმარებით, განვავითაროთ შიდატურიზმი; ხელი შევუწყოთ ჯანმრთელობის, განათლების, კულტურის, სპორტის მიმართულებით ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებასა და მათში ახალგაზრდობის ჩართულობას; აქტიურად წარვმართოთ მუნიციპალიტეტში მდებარე მრავალბინიანი სახლების ფასადების, სახურავების, სადარბაზოებისა და ეზოების, სპორტული მოედნების, სკვერებისა და დასასვენებელი ადგილების კეთილმოწყობის პროექტები.

დარწმუნებული ვარ, ახალი ენერგიითა და ერთიანი ძალისხმევით, შევძლებთ ჩვენი მუნიციპალიტეტის სწრაფად განვითარებასა და გაძლიერებას.

ერთად აუცილებლად გავიმარჯვებთ! თიანეთი გაიმარჯვებს!

„ქართული ოცნების“ საარჩევნო შტაბი ყველა ამომრჩეველს და საჯარო მოსამსახურეს მოუწოდებს, კენჭისყრის დღემდე და კენჭისყრის დღეს დაიცვან ქცევის შემდეგი წესები:

- დაუშვებელია საჯარო მოსამსახურეების, საჯარო სკოლების პედაგოგების, აგრეთვე სსიპ-ებისა და სახელმწიფოს ან მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ების თანამშრომლების საარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობა სამუშაო საათებში ან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, მათ შორის სოციალურ ქსელებში პოლიტიკური შეხედულებების გამოხატვის გზით;

- დაუშვებელია სახელმწიფო და მუნიციპალური თანამდებობის პირების მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენება ამომრჩევლის მიერ ამა თუ იმ საარჩევნო სუბიექტის მხარდაჭერის ან მხარდაჭერისგან თავის შეკავების უზრუნველყოფის მიზნით;

- დაუშვებელია ამომრჩევლისთვის რაიმე მატერიალური ან არამატერიალური სარგებლის გადაცემა ან შესაბამისი დაპირების გაცემა ამომრჩევლის მიერ ამა თუ იმ საარჩევნო სუბიექტის მხარდაჭერის ან მხარდაჭერისგან თავის შეკავების უზრუნველყოფის მიზნით;

- დაუშვებელია ამომრჩევლის იძულება, სხვა პირს გაუმჟღავნოს საკუთარი არჩევანი, მათ შორის საარჩევნო ბიულეტენის ფოტოგადაღების ან საარჩევნო კაბინიდან გამოსვლის შემდეგ ბიულეტენის საჯაროდ ჩვენების გზით;

- კენჭისყრის კაბინაში ფოტო და ვიდეოგადაღება, აგრეთვე შევსებული საარჩევნო ბიულეტენის სხვა პირთათვის ჩვენება დაუშვებელია;

- დაუშვებელია ხმის მიცემა სხვა ამომრჩევლის ნაცვლად, აგრეთვე საარჩევნო ბიულეტენის შევსება სხვა პირის თანდასწრებით;

- კენჭისყრის შენობაში კენჭისყრის დღის 8 საათიდან 20 საათამდე აკრძალულია საარჩევნო აგიტაცია;

- მოვუწოდებთ ყველა პარტიის აქტივისტს, მხარდამჭერსა და ამომრჩეველს, თავი შეიკავონ საარჩევნო უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე დაყოვნებისგან;

- აკრძალულია კენჭისყრის შენობაში ან კენჭისყრის შენობის მიმდებარედ ამომრჩევლის გადაადგილების ფიზიკურად შეფერხება.